...ოლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ. საკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველს პრ. სპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საკართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ქართველ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზეთრესტი), **რუსთაველის პრ. № 26. ტელეფ № 5—43.**

...ნტოს თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	2.000.000 მან.
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.500.000 „
ერთი ეგზემპლიარი	100.000 „

...ეკვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ...ურნალ „ნიანგ“-ზე. თვიური ფასი შინ მიტანით . 500.000 „

...ენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 აგვისტომდის ...მოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 8—3

...ართველოს კომუნ. პარტ. ტფ. კომიტეტი წინადადებას აძლევს 27 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

...ის წესრიგში დასვან 1) **ადგილკომებისა და საქალაქნო კომიტეტთა ფრაქ...ის მიერ ანგარიშის წარდგენა უჯრედებისათვის** და 2) **საპაერო ფლოტის კვირეული.**

...საკითხის შესახებ თეზისები გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“, 11 ივლისის №-ში.

...ჯრედების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისა და მდივნებისათვის და უჯ...ედების მიერ მოხსენებისათვის გამოყოფილ ამბანაგებისათვის გაიმართება საინსტრუქტორო მოხსენება.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

...ბილისის მუშათა, გლეხთა და ფითელ ...რმიელთა საგჭოს პრეზიდიუმისაგან

...ანასმად თბილისის საბჭოს ბლეწუმი'ს დადგენილებისა, ...ალება საბჭოს ექვსა წევრებს 10 აგვისტომდე აუცილებ...ად გამოცხადდენ ადმასკომის სამდივნოში და რაყოფნ...ს რომელიმე სექციაში სამუშაოთ.

სექციაში სამუშაოთ ჩაწერა საკალდებულოა:

...ა 539 4—1 **პრეზიდიუმი.**

ცირკულიარულად.

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის შესახებ.

...ამ უკანასკნელ დროს მთელი საქ...თველოს მოიარა სტიქიურ ანტი-...რწმუნოებრივ მოძრაობის ტალღამ. ...ელ რიგ მაზრებსა და სოფლებში ...ბობა, რომელიც ხანგრძლივი ...ის განმავლობაში თვალყურს ...ებნებდა სამღვდელოების კონტრ-...ოლიუციონურ მოღვაწეობას და ...ელმაც, ბოლოს, გაუსინჯა მას ...ლები, შეუდგა ეკლესიების გაუ...ბას. სამღვდელოების ნაწილმაც ...ა, რომელმაც შეიგნო თა...ი შეცდომები, გლეხების განმ...ობლების ზეგავლენით, გაიხა...ანაფორა და პატიოსან სა...ად-მოქმედო შრომაზე გადავიდა. ...მოძრაობის შედეგათ მოჰყვა ეკ...სიებისა და სამლოცველო სახლე...ს შესაჩნევი რაოდენობის დახურ...ა საქართველოში.

...ენ პარტიას არ შეეძლო ფეხ...ედ არ გაჰყოლოდა გლეხობას. ...ტიის ანტისარწმუნოებრივმა პრო...განდამ ამ დროს სერიოზული ხა...ითი და მნიშვნელობა მიიღო. მას ...ნ სდევდა, როგორც გავს, დიდი ...ედგება.

...მაგრამ ამ სტიქიურ მოძრაო...ბ ზეგავლენით, პარტიის მუ...ები ადგილებზე ხშირათ გადა...ბებულათ აფასებდენ მიღწეულ ...ედგებს. ზოგჯერ ზოგიერთ ად...ებში ჩვენმა ამხანაგებმა თა...ი ანტისარწმუნოებრივი მუშა...ბ შეუფარდეს მშრომელთა ყველა...უფრო შეგნებულ ნაწილს.

...ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდო...ა იქნებოდა. ანტი-სარწმუნოებრივ ...პაგანდის ზეგავლენით სამღვდე...ების როლის კრიტიკულ შეფასე...ს პერიოდში, გლეხებს შეუძლიანთ ...ი იბრძნონ სარწმუნოებიდან. მათ ...ეძლიანთ რადიკალური დადგენილე...ბი გამოტანონ, მათ რიცხვში ეკლე...ების დახურვის შესახებაც. მაგრამ ...ათ თავის მოტყუება დიდი გულ...რყვლობა იქნებოდა. სარწმუ...ა, როგორც იდეოლოგია, განა...ძობს არსებობას; მისი ასე ადვი...ად წაშლობა შეუძლებელია ასეთი ...ვომარ.ობა ეხლაც არის საქარ...ველოში. მრავალი ეკლესიები დაი...ა, მაგრამ სარწმუნოებრივი რწმე...ა მოუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ...ბობა საერთო მასაში არ არის ...რწმუნე, რამოდენიმეთ მაინც დარჩა. ...ასთან ერთად სარწმუნოებრივი ...ა განაგრძობს არსებობას გლეხის ...ცა-ცხოვრებაში. ამ გარემოებას ...ენ პარტიამ სერიოზული ანგარი...უნდა გაუწიოს. ჩვენ ჩვენს ანტი-...რწმუნოებრივ პროპაგანდაში მიზ...ვისახავთ სარწმუნოებრივი ...ემსახედველობის დანგრევას და ...ეცნიერულ, მარქსისტულ მსოფლ...ედველობით შეცვლას. ამ მუშაო...ში აგიტაციური შეტევით, თავ...ბმით, ისე, როგორც გავლენის ...ბენის ლონისძიებებით ანდა საე...ო აკრძალვით, არაფერი არ გა...ედება. სარწმუნოებასთან ბრძოლა უნდა სწარმოებდეს მისი აკრძალ...ა.

...თუ ზოგჯერ გლეხობა სტიქიურათ ...ერავდა ეკლესიებს, ჩვენ კი უნდა

მენშევიკურ ცეკას „წინადადება“

ბობჩინსკის და დობჩინსკის ტიპის ხალხი ყველგან მოიპოვებიან. არიან ასეთები ჩვენშიც, და არა მარტო უბრალო, მომაკვდავ მოქალაქეთა შორის; ასეთებს ეკუთვნიან პირველ ყოვლისა ის, „მაღალ პოლიტიკის“ მატარებელი ვაჟბატონები, რომელნიც თავიანთ თავს „საქ. სოც. დემ. მ. პარ. ცენტრალურ კომიტეტს“ უწოდებენ.

მენშევიკური ცეკისტები არ ისვენებენ, ისინი ხმაურობენ და ხმაურობენ, რათა „დაუმტკიცონ“ ვიღაცას, რომ ცოცხლები არიან, რომ არსებობენ, არსებობენ არა ისე ტყუილუბრალოდ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქენი, არამედ როგორც „მასიურ“ პარტიის ხელმძღვანელნი და წარმომადგენელნი.

ჯურღმულიდან, სადაც ისინი ჩაჰაძრინა საქართველოს მუშათა კლასმა, ისინი „მოწყალებას“ არ აკლებენ ქართველ ხალხს, არც ჩვენ, კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, და დროგამოშვებით გვიმასპინძლდებიან პროკლამაციებით, მოწოდებებით, სხვა და სხვა „დოკუმენტებით“.

ერთ ასეთ „დოკუმენტზე“ გვინდა დღეს შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ეს არის „წინადადება“ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას და საქ. კომისართა საბჭოს.— პირი სოციალისტურ ინტერნაციონალის, ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალის და კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს“.

ეს „წინადადება“, რომლითაც ის მიმართავს ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, და რომლის „პირის“ გადაგზავნა მას საჭიროდ დაუნახავს დასახელებულ ორგანიზაციებისთვის, შემდეგს შეიცავს:

1. შესდგეს თანასწორი რაოდენობით კომისია დასავლეთის კომუნისტების და სოციალისტებისაგან. ამ კომისიამ გამოარკვიოს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ხალხის ნამდვილი სურვილი.

2. მოეწყოს რეფერენდუმი, ან მუშების და გლეხების დაკითხვა, რომელთაც საბჭოთა კონსტიტუციის ძალით არჩევნების უფლება აქვთ.

3. დაკითხვის დროს კენჭის ყრა უნდა იყოს ფარული. თუ კომუნისტების მხარეზე აღმოჩნდება ხალხის თუ გინდ ერთი მესამედიც, მენშევიკები ხელს იღებენ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ყოველგვარ მოქმედებასა და აგიტაციაზე, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე მის გარედ.

4 კომისიამ ადგილობრივ უნდა გამოარკვიოს საბჭოთა ხელისუფლების აგენტების და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებანი.

5. ამ ბოროტმოქმედებათა შესახებ მსჯავრის გამოტანა დეე მიენდოს მარტო დასავლეთის კომუნისტების წარმომადგენლებს.

6. თუ კომუნისტები არ მიიღებენ ხმების ერთ მესამედს, უნდა იქნას აქედან გაყვანილი რუსეთის ჯარი და ხსენებულ კომისიის თვალყურის გდებით მოწვეულ იქნას თავისუფლად არჩეული საბჭოების ყრილობა.

ჩვენ ასე ვრცლად მოვიყვანეთ მენშევიკურ ცეკას „წინადადება“, ვინაიდან ის ფრიად დამახასიათებელია მისი ავტორების „ბრძნული“ პოლიტიკის, მათი პოლიტიკური ავიორის, მათი საბოლოო უძლურების და სასიკვდილო აკონის.

ვაჟბატონები, რომელნიც მუდამ მოუწოდებენ ხალხს მასსიურ ბრძოლისაკენ „საოკუპაციო მთავრობასთან“, დღეს ასეთი „მშვიდობიანი“ და „სერიოზული“ წინადადებით გამოდიან და „საბჭოთა კონსტიტუციასაც“ კი ეშველიებენ („წინადადების“ მეორე მუხლი).

რამ გამოიწვია ბრძოლის მეთოდების ასეთი „ცვლილება“?—იმან ხომ არა, რომ მენშევიკურ ცეკისტებს საბოლოოდ ჩამოშორდნენ. არა მარტო საერთოდ მთელი მშრომელი მასსები, არამედ მათი პარტიის ყველა სასიკცხლო და მუშური ელემენტები, რომელთაც თავიანთ სრულიად თავისუფლად და ნებაყოფლობით შემდგარ კონფერენციებზე ჯვარი დაუსვეს მენშევიკურ პარტიას და მისი ცეკა „სამოზვანად“ გამოაცხადეს! მენშევიკების „გენერლებს“ „ჯარი და მრეული“ შემოეფანტათ, მათ სამუდამოდ გაუცრუდათ იმედი ხალხის ჩამისა ავანტიურისტულ კონტრრევოლიუციონურ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ გზით თავიანთი ბატონობის აღდგენის. და ეხლა მათ რა გზა დარჩენიათ სხვა, თუ არ პოლიტიკური ავიორა და შანტაჟი!

იმათ უნდათ მოაჩვენონ თავი იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც თურმე გაეგზავნა „წინადადების“ ასლი, რომ საქართველოს ხალხი მათ უჭერს მხარს, რასაც დამტკიცებს „დაკითხვა“ და „თავისუფალ საბჭოების“ არჩევნები. ისინი იმდენად გულკეთილნი და სულგრძელი არიან ბოლშევიკების მიმართ, რომ მზად არიან ხელი აიღონ მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე, თუ ქართველი ხალხის ერთი მესამედი მაინც აღმოჩნდება ჩვენი მომხრე.

კიდევ მეტი: მათი „გულკეთილობა“ და საკუთარ ძალისადმი „რწმენა“ ამით არ თავდება. ისინი განაგრძობენ: „თქვენს ხელშია ძალაუფლება, თქვენს მონოპოლიას შეადგენს პრესა. ჩვენ ყოველივე ამას მოკლებული ვართ და თან მრავალი ათასი (?!) ჩვენი ამხანაგი გახიზნული, გაფანტულია ...ნ დატუსაღებული. ჩვენ ამ მხრივ არავითარ წინასწარ პირობას არ გიყენებთ. მაშასადამე გაძლევთ ისეთ წინადადებას, რომელიც თქვენ, ისეცაც უპირატესობაში მყოფთ, ზედმეტ უპირატესობას განაუბეთ“.

როგორც ხედავთ, მენშევიკ ცეკისტების „რაინდობა“ და „დათმობა“ უმაგალითოა, უსაზღვროა! რა უყოთ, რომ შიგ იმალება ბრმისათვისაც დასანახი წვრილი ცალულუბობა და გაიძვერობა, რაც მენშევიკურ ცეკას „სერიოზულ“ წინადადებას უგემურ ოხუნჯობის ხასიათს აძლევს და მის ავტორების ტაკი—მასხარებად ხდის. მეტი მოხერხება მათთვის ბედს არ მიუცია.

მათი განზრახვა იყო შემდეგი: თუ კომუნისტები უარყოფენ ჩვენს წინადადებას, ამით ჩვენ საშუალება მოგვეცემა ყოველ გზა-ჯვარედინზე ვიძახოთ: შეხეთ, საქართველოს კომუნისტებმა უარყვეს ჩვენი მათთვის „მეტად ხელსაყრელი და შეღავათიანი პირობები“, მათ შეეშინდათ ხალხის, რომელიც წინააღმდეგია მათი და ჩვენი მომხრე“.

ამ „საბუთს“ გამოიყენებენ“ არა მარტო თვით მისი ავტორნი, არამედ ის ყვითელი ინტერნაციონალები, რომელთა მიზანს შეადგენს გაშავება კომინტერნის, მისთვის სახელის გატეხა მშრომელ მასსების თვალში.

და რომ ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს არ გაუწევდნენ მენშევიკ ცეკისტების „წინადადებას“, ეს ამ უკანასკნელებისათვის, რა თქმა უნდა, ცხადი იყო.

ჯერ ერთი, ვისი სახელით შეუძლია გამოვიდეს მენშევიკური ცეკას და ისიც ასეთი პრეტენზიული მოთხოვნებით. ყველამ იცის, რომ არა ხალხის სახელით, არც უკვე არ არსებულ მენშევიკურ პარტიის სახელით. მთელ ამ მასამ მათ კარგა ხანია სასიკვდილო განაჩენი გამოუტანია.

ხოლო თითო-ოროლა ავანტიურისტის და ბოროტმომქმედის სიტყვა თუ „წინადადება“ აბა რა მხედველობაშია მისაღები.

ასეთ „წინადადების“ წარდგენა შეიძლება მოისურვოს ჩოლოყაშვილმა, რომელსაც მენშევიკები კარგად იცნობენ, ან სხვა ყოფილ თავადებმა და ისტორიის მიერ განწირულმა ელემენტებმა.

საბჭოთა ხელისუფლება ასეთი სასაცილო პრეტენზიების განსახილველად ვერ მოიცლის. ხალხის მტრებს ის სულ სხვა ენით ელაპარაკება, „რკინისა და სისხლის“ ენით.

საქართველოში საბჭოთა წყობილების არსებობის მესამე წელში, როცა ეს წყობილება მტკიცეა, როგორც არასოდეს, როცა მთელი ხალხი უშუალოდ და აქტიურად ჩაბმულია უდიდეს საალმშენებლო მუშაობაში, როცა ყველა თვალ ახილული და მიუდგომელი ადამიანისათვის ცხადნ უცხადესია, თუ ვისკენაა მშრომელი მასსის სიმპატია, მასსის, რომელიც მუშურ-გლეხურ რეჟიმს იცავს მთელი თავისი ძალღონით, სწორედ ამ დროს მენშევიკური ცეკას წინადადება მართალო რომ სასაცილოა და გენიალობამდე სულელური.

დავა მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის ცხოვრებამ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა, სასტიკმა, მაგრამ მართლმსაჯულმა ისტორიამ მენშევიკები მისი „ლიდერებით“ სანაგვე ყუთში გადაისროლა. და ამაოდ ცდილობენ ეს მკვდარი ლეშები საქართველოს სინამდვილეში ისევ გააცოცხლონ ეს გადაწყვეტილი დავა რაღაც კომისიის საშუალებით, საქართველოს უკვე ყველასათვის გამორკვეული მდგომარეობის ისევ „გამორკვევის“ ცდით.

ქართველმა ხალხმა მათ უკვე გასცა საკადრისი პასუხი და მას, მშვიდობიან საალმშენებლო მუშაობაში ჩაბმულს, არც ხალისი აქვს, არც დრო და მოცლა უსაქმოდ დარჩენილ მენშევიკ ცეკისტების „წინადადებებისთვის“ ყურის დასაგდებად.

ჩვენ გვინდა აქ ავღნიშნოთ კიდევ ორი მომენტი მენშევიკების ცეკას „წინადადებაში“. ისინი მოითხოვენ „თავისუფალ“ საბჭოების არჩევას. ამ შემთხვევაში ისინი მიდიან მილიუკოვის გზით, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: „საბჭოები კომუნისტების გარეშე“.

ჩვენ გვახსოვს, რომ მენშევიკები ერთ დროს საბჭოებს მეთაურობდნენ, მათ ისინი აქციეს სალაყბო ორგანიზაციებად და ბოლოს სულიც დაალევინეს „დემოკრატიის“, „პარლამენტის“, დამფუძნებელ კრების სასარგებლოდ.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ყოფ. მენშევიკების თბილისის საქალაქო კონფერენცია

მოხსენებას „საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის“ შესახებ აკეთებს ამხ. ფარნიევი. (მოხსენება და კამათი დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში).

წარმოდგენილი რეზოლიუცია მიღებულ იქნა საფუძვლათ და გადაეცა პრეზიდიუმს საბოლოო რედაქციის შესადგენათ.

მ ი მ ა რ თ ვ ა.

ქალაქის კონფერენციისადმი ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრების, პოლიტიკური პატიმრების.

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, საქ. სოც. დემ. მ. პარტიის (მენშევიკების) წევრები, პოლიტიკური პატიმრები გვეცანით რა მოწოდებას 1, 2, 3, რაიონებისა, მიმართულს პოლიტიკური პატიმრებისადმი და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ:

1. მენშევიკური პარტიის მოღვაწეობა საქართველოში შემცდარი იყო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, მისი მოქმედება ობიექტიურად ქართველი მუშების და გლეხების ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული;

2 მენშევიკურმა პარტიამ საქართველოში მოქმედების ფართე ასპარეზი მისცა ყველა მემარჯვენე პარტიებს (ნაციონალ-დემოკრატებს, ვეშაპელის ჯგუფს და სხვა), რომლებიც სარგებლობდნენ სიტყვის, ბეჭდვის, კრების და სხვა თავისუფლებით. ხოლო ამავე დროს მუშათა რევოლიუციონური ნაწილის წარმომედგენელი—კომუნისტური პარტია მოკლებული იყო ბრძოლის ყოველგვარ თავისუფლებას, ამიტომ ბურჟუაზიასთან კოალიციამ შეასუსტა როგორც რევოლიუციის ტემპი, ისე კლასობრივი შეგნება მუშათა კლასისა.

3. საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ არა ლეგალურათ მომქმედი მენშევიკური პარტიის ორგანიზაციები სხვა მემარჯვენე პარტიებთან გაერთიანებული ებრძვიან საბჭოთა ხელისუფლებას და მის სათავეში მყოფ კომუნისტურ პარტიას.

4. გაემიჯნა რა საქართველოს მენშევიკური პარტია ოქტომბრის რევოლიუციას, ამით გამოუცხადა მას ბრძოლა და უღალატა სოციალიზმს და რევოლიუციას.

5. გზა „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“ ცხოვრებამ არ გაამართლა და მან სინამდვილეში საშინელი კრახი განიცადა.

6. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არის დღეს რეგრესი და ემსახურება რეაქციის საქმეს. ასეთი ბრძოლა გამოიწვევს ფიზიკურ განადგურებას და გონებრივ გაღატაკებას მუშათა კლასის, გლეხობის და სოციალისტური ინტელიგენციისას, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარი ომი და მით უმეტეს შინაური სამოქალაკო (ამ შემთხვევაში ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე) გაანადგურებს საუკეთესო ნოებით დაგროვილ ხალხის სიმდიდრეს. ეკონომიური გაღატაკებას-კი ყოველთვის მიეყვარო კულტურული გაღატაკებამდის. ამავე დროს სოციალიზმის განხორციელება ჩვენ არა შორეულ, განყენებულს, არამედ დროის-პრაქტიკულ ამოცანათ უნდა ჩავთვალოთ. რუსეთის რევოლიუციის დღითი-დღე განმტკიცება და გამაგრება, მუშათა მოძრაობის თანდათან გაძლიერება ევროპაში—ამის საუკეთესო დამამტკიცებელია. პროლეტარიატის გამარჯვების უზრუნველყოფა და რევოლიუციის დაცვის ინტერესები მოითხოვს ყველა რევოლიუციონურ მარქსისტულ ძალების დარაზმვას საერთო მტრის წინააღმდეგ.

გამოვდიოვართ რა ყველა ზემო მოხსენებულიდან, ჩვენ სრული შეგნებით და ჩვენს ღრმა რწმენით საქმეყნოთ და ყველას გასაგონრად ვაცხადებთ, რომ დღეიდან გამოვდიოვართ მენშევიკურ პარტიიდან, ხელს ვიღებთ მუშაობაზე არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ, სავსებით ვიზიარებთ იმ რეზოლიუციებს და დადგენილებებს, რომელიც გამოაქვთ ყოფილ მენშევიკების ყრილობებს, უცხადებთ მას თანაგრძნობს და უერთდებით მას.

1. დუმბაძე ვლადიმერ ივლიანეს ძე 1905 წ. ინტელიგენტი.
2. ქვარაცხელია ტარასი ყარამანის ძე 1905 წ. მუშა.
3. ცხაკაია ვასილი 1905 წ. მუშა.
4. მესხი დავით 1905 წ. ინტელიგენტი.
5. მგალობლიშვილი ს. გიორგის ძე 1909 წ. მუშა.
6. კომახიძე ვასილ 1905 წ. მუშა.
7. გვალია ლავრენტი დავითის ძე 1905 წ. ინტელიგენტი.
8. აფენდოპულო ივანე გიორგის ძე 1918 წ. ინტელ.
9. ხათავა ნიკოლოზი მელიტონის ძე 1918 წ. ინტელ.
10. ნიკოლაიშვილი ერმილე დავითის ძე 1918 წ. მუშა.
11. რამიშვილი ხარლამპი ანტონის ძე 1918 წ. მუშა.
12. კერესელიძე რაფდენ არჯევანის ძე 1904 წ. მუშა.
13. ჩქიფლაძე გიორგი იაკობის ძე 1921 წ. მუშა.
14. გაბელია ერმალოზი 1917 წ. ინტელ.
15. გაბელია ევთიმე ფილიპეს ძე 1904 წ. მუშა.
16. ჩოქიანი კ. მაქსიმეს ძე 1907 წ. ხელოსანი.
17. გიგიულია ტრიფონი 1907 წ. მუშა.
18. ჩიქოვანი მელიტონ 1918 წ. მუშა.
19. ვრძაშვილი ილია 1914 წ. ინტელიგენტი.
20. კიმისანი კონსტანტინე ნესტორის ძე 1917 წ. ინტ.
21, ქუშურიძე შალვა 1917 წ. ინტ.
22. ჩანტლაძე შალვა 1916 წ. ინტ,
23. ჰაჰაძე შალვა 1913 წ. ინტელიგენტი.
24. დოლიძე ვლადიმერ 1917 წ. ინტელიგენტი.
25, ქაჭაბია სოკრატი 1913 წ. მუშა.
26. ბოკორიშვილი ივანე ტრიფონის ძე 1917 წ. მუშა
27. შაფშიშვილი იოსები 1918 წ. მუშა.
28. ლამხაშიძე ნიკოლა 1917 წ. გლეხი.
29. ელენტი ნიკიფორ 1905 წ. მუშა.
30. სალაია ტარასი 1917 წ. მუშა.
31. ცანავა შალვა 1917 წ. მუშა.
32. ბეტარიძე იასონ 1908 წ. მუშა.
33. გოგიჩაშვილი ალექსი 1918 წ. მუშა.
34 ლორია ევტიხე 1904 წ. მუშა.
35. ბურჯანაძე გიორგი 1918 წ. ინტელიგენტი.
36. დიდებულიძე ბესარიონი 1920 წ. მუშა.
37. მუჯირიშვილი გიორგი 1916 წ. მუშა.
38 ნინუა ივლიტა ანტონის ასული 1907 წ. მკერავი.

ფაქტები და საბუთები

მე 4 რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენციაზე გამოვიდა გრძელი დეკლარაციით ვიღაც თარგამაძე, რომელიც სცდილობდა დაემტკიცებია მენშევიზმის ტაქტიკის სისწორე.

რას ამბობდა ის?

ის ამბობდა, რომ არ არის თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის და სხვა. ლაპარაკობდა ტუჩებზე ქაფ-მომდგარი, რომ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა კი არა, ერთი ჯგუფის დიქტატურა გვაქვს.

ამტკიცებდა, რომ ჩვენში საშინელი უმუშევრობაა, რომ გლეხები გატიტვლდენ, ილუპენი სახალხო მეურნეობა, ეცემა წარმოება და სხვა.

შემდეგ ის ამბობდა, რომ კომპარტიის განმტკიცება იწვევს რეაქციონურ ბურჟუაზიის გაძლიერებასო და სხვა.

ბოლოს თავისი გრძელი დეკლარაცია მან დაამთავრა იმით, რომ ყველა ისინი, რომელნიც გადიან მენშევიკურ პარტიიდან, ან განიცდიან „ჩიკას“ ზეგავლენას, ან არა და მოსყიდულები არიანო.

საბჭოთა ხელისუფლებას არ ესაჭიროება ჩემი დაცვა, მაგრამ რამდენადაც მოქ. თარგამაძე ჩვენ გვისყვედურებს „ფრონტის შეცვლის“ შეცდომას, შევჩერდებით მის დეკლარაციაზე.

გავარჩიოთ მოქ. თარგამაძის თვითეული დებულება და დავინახავთ რამდენად მართალია ის მის მიერ წამოყენებულ დებულებებში.

ავიღოთ თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის და სხვა.

ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ განმტკიცებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების დროს. მაგრამ, როდესაც რევოლიუციონური ხელისუფლება გარსშემორტყმულია მტრებით და სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ცხადია, რომ თვითეული მხარე სცდილობს ხელიდან გამოაცალოს მტერს საბრძოლველი იარაღი.

პრესა კი ძალიან ძლიერი იარაღია. ტყუილად კი არ ქვია მას მეექვსე სახელმწიფო.

რაღა საჭიროა შორს წასვლა მაგალითებისათვის. განა ჩვენ, მენშევიკები, არ ვხურავდით ჩვენი მტრების გაზეთებს?!

სამოქალაქო ომის დროს რომ კონტრ-რევოლიუციონერები, და თუ გნებავთ, ზომიერ სოციალისტებს გაემარჯვებიათ, როგორ გგონიათ, მოქალაქე თარგამაძე, მისცემდენ ისინი თავიანთ მტრებს თავისუფალი ლაპარაკის და წერის საშვალებას? რა თქმა უნდა არა.

ჩვენ მოვითხოვდით „სამართლიანობის ნიშნათ „ბეჭდვის, სიტყვის და სხვ. თავისუფლებას, მაშინ, როდესაც ჩვენ არ გვქონდა იგი, როდესაც ყველა ამ ბედნიერებით სარგებლობდენ ჩვენი მტრები.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რევოლიუციონურ პროლეტარიატის დიქტატურის დროს, უკანასკნელი სიამოვნებით დაუთმობს კონტრ-რევოლიუციას დიქტატურასთან ბრძოლის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს. ეს სისულელე იქნებოდა.

და თუ თქვენ, მოქ. თარგამაძე, გახსოვთ, ან წაგიკითხავთ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის 2-ე ყრილობის ოქმები, ამ ყრილობაზე ჯერ კიდევ პლეხანოვი ლაპარაკობდა, რომ რევოლიუციონურ ბრძოლის დროს შესაძლებელია იმ გაბატონებულ კლასების უფლებების შეზღუდვა, რომელნიც დღეს ზღუდავენ პროლეტარიატის უფლებასო.

მაშასადამე. რა არის გასაკვირველი, რომ ბოლშევიკები არ აძლევენ თავის მტრებს მოქმედების თავისუფლებას?!

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რევოლიუციას არ სჩვევია სენტიმენტალიზმი.

ეხლა უნდა გამოვარკვიოთ გვაქვს თუ არა ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა?

თარგამაძე ამბობს, რომ ისეთი ჩვენ არა გვაქვსო.

მაგრამ ყველა, ვინც ობიექტიურად მიუდგება ამ საკითხს, იტყვის, რომ დიქტატურა გვაქვს.

განა საბჭოები, რომელსაც ირჩევენ მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, და რომელთა ხელშიაც მოქ.კეულია მთელი ძალა უფლება, განა ეს არ არის მშრომელთა დიქტატურა?

მოწინავე მუშა-კომუნისტები, რომელნიც ზიან თითქმის ყველა მაღალ თანამდებობაზე, განა არ არის პროლეტარიატის დიქტატურა?

თარგამაძეს შეეძლო კამათი სხვა დარგში—მისაღებია თუ არა ეს დიქტატურა?

მაგრამ ყველას თვალწინ მტკიცება იმისა, რომ თეორი შავია —აბსურდია.

უმუშევრობა—სად არ არის დღეს უმუშევრობა?

გადაათვალიერეთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სტატისტიკა და თქვენ დაინახავთ, რომ იქ უმუშევრობა 300—400 პროცენტით გაიზარდა მშვიდობიან დროსთან შედარებით. ამის შესახებ ბევრს სწერენ ბურჟუაზიული გაზეთებიც.

დღეს საბჭოები ნამდვილი სახალხო ორგანოებია, რომელნიც სავსებით გამოხატავენ მშრომელი მასის ნებისყოფას. ასეთი საბჭოები, საიდანაც განდევნილია ხალხის აშკარა თუ ფარული მტრები, არ მოსწონთ ბ.ბ. მენშევიკებს. მათ ურჩევნიათ ისეთი საბჭოები, სადაც თვითონ იქნებიან გაბატონებულნი. მაგრამ რას იზამთ, ხალხმა ასე არ მოისურვა და თავისი საქმეების გამგებლობა მიანდო მშრომელ პატიოსან ელემენტებს კომუნისტების ხელმძღვანელობით. რაც არ უნდა იყოს სასიამოვნო ეს გარემოება მენშევიკებისათვის,—ასეთია მშრომელი მასსის ურყევი სურვილი და გადაწყვეტილება.

მენშევიკური ცეკისტები თავიანთ „წინადადებაში“ სწვდნენ წითელ ჯარასაც. ისინი მოითხოვენ მის გაყვანას საქართველოს საზღვრებიდან. ჩვენ კარგად გვესმის მათი მუცლის გვრემა. წითელი ჯარი იცავს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას დასავლეთის იმპერიალისტებისაგან. მენშევიკ ცეკისტებს უნდათ ჩვენი ქვეყნის კარები ღია იყოს მათი შემოსასევად:

ჩვენ ვეტყვით იმპერიალისტების ამ აგენტებს, რომ წითელი არმია, რომელიც არის შეიარაღებული ძალა კომინტერნის, ბოლომდე შეასრულებს თავის მოვალეობას ქართველი ხალხის წინაშეც და დაიცავს მას და რევოლიუციის მონაპოვართ მსოფლიო ყაზიერების შესაძლებელ თავდასხმებისაგან.

კიდევ ვიწის საკითხის შესახებ

მემამულეები ყოველგვარ ზომებს და საშუალებებს მიმართავენ საბჭოთა კანონმდებლობის გვერდის ასახვევად და ნორმაზე ზედმეტი მიწის რაოდენობის შესანარჩუნებლად, მთელ თავის რამოდენიმეთ მაინც შერჩენილ ძალა-გავლენას, პირად ნაცნობობას და სხვა ყოველგვარ ნაკად და უცად ხრიკებს მიმართავენ რომ თავისი დაკარგული ავლა-დიდება ნაწილობრივ მაინც დაიბრუნონ. წინადაც და ეხლაც ათასგვარ ხმებს ავრცელებდენ სოფლად და უმტკიცებდენ გლეხობას, რომ ჩამორთმეული მიწები ისევ ძველ მეპატრონეებს დაუბრუნდებათ. ამით გლეხობას ამ მიწების დამუშავების ხალის უკარგავდენ და სცდილობდენ მისი დანაწილებისთვის ხელის შეშლას. ამ მოსაზრებით ისინი ხშირად პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდენ ვითომ ძველი მთავრობა დაბრუნდება და მიწებს თავის ძველ მეპატრონეებს დაუბრუნებსო, ან და თვით საბჭოთა მთავრობა ევროპის ბურჟუაზიული მთავრობების ზეგავლენით შესაცვლის მიწის კანონმდებლობას მემამულეთა სასარგებლოთ და სხვა.

როდესაც ასეთმა ხრიკებმა ვერ გასჭრა და მშრომელი გლეხობა დაიმედებული მუშურ-გლეხური მთავრობის ძლიერებით და სიმტკიცით შეუდგა მიწის საკითხის რადიკალურათ გადაჭრას, მემამულეებმა საჩივრებით აავსეს როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მთავრობის ორგანები. მიწის კომისიების მოქმედების განსაჩივრების ვადა კარგა ხანია გასულია, მაგრამ ისინი არც დღეს ყრიან იარაღს და ისევ განაგრძობენ ჩივილს. „წინადადებაში“ სწვდნენ წითელ ჯარასაც. ისინი მოითხოვენ მის გაყვანას საქართველოს საზღვრებიდან. ჩვენ კარგად გვესმის მათი მუცლის გვრემა. წითელი ჯარი იცავს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას დასავლეთის იმპერიალისტებისაგან. მენშევიკ ცეკისტებს უნდათ ჩვენი ქვეყნის კარები ღია იყოს მათი შემოსასევად:

ჩვენ ვეტყვით იმპერიალისტების ამ აგენტებს, რომ წითელი არმია, რომელი

და სად უნდა ვეძებოთ ამ ბოროტების ფესვები? თარგამაძე ეძებს მას ბოლშევიკურ რეჟიმში.

მაგრამ დეე, თარგამაძემ გულზე ხელი დაიდვას და სინდისიერად მიგვითითოს ამ ბოროტობის საფუძვლებზე, მაშინ ის ან გაჩუმდება ან დაგვანახვებს ნამდვილ ფესვებს.

იმპერიალისტურმა ომმა გაანადგურა სახალხო მეურნეობა, შეამცირა მრეწველობა, რომლის სათანადო დონემდე აყვანა ასე ჩქარა შეუძლებელია. ცხადია, რომ უმუშევრობას ექნება ადგილი.

მაგრამ თარგამაძემ ძალიან დააბნელა სურათი. ის ამბობდა, რომ მუშაკთა ტფილისში 25,000 უმუშევარიაო.

მაგრამ ტფილისში არა უმეტეს 5.000 უმუშევარი მუშა-მოსამსახურეა.

ტფილისში 9—10 მუშაზე მოდის 1 უმუშევარი, ესე იგი 9—10 პროც., მაშინ როდესაც 1921 წ. ივლისში ინგლისში პროფკავშირთა ყოველ 1 384 936 წევრზე მოდიოდა 16,7 პროც. უმუშევარი, შეეცალა უმუშევართა რიცხვი უდრიდა ყველა პროფკავშირთა წევრების საერთო რაოდენობის 25,3 პროცენტს, კანადაში უმუშევართა რიცხვი ავიდა 15,4 პროცენტამდე. 1921 წლიდან უმუშევრობა გაიზარდა 50-დან 100 პროცენტამდე.

ეხლა შეადარეთ, მოქ. თარგამაძე, ეს სტატისტიკა და სთქვით: იმპერიალისტური ომის შემდეგ შექმნილი ობიექტიური პირობებია ამ სამწუხარო მოვლენაში დამნაშავე, თუ ბოლშევიკური რეჟიმი?!

ეხლა გადავიდეთ გლეხობაზე. მართლა ატყავებდენ მათ ბოლშევიკები? შესაძლებელია კულაკები შეურაცხყოფილნი არიან, იმიტომ რომ ნორმაზე ზევით მათ ჩამოერთვათ მიწები. მაგრამ ღარიბმა გლეხობამ, მცირე მიწის მქონე გლეხებმა მიიღეს მიწები, ისინი დაახლოებით უზრუნველყოფილნი არიან მიწით, მიღებულია ზომები მათი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველსაყოფელად.

ეხლა შეადარეთ რა მივეცით გლეხებს?

თქვენ გახსოვთ, რომ ჩვ ნი მიწის რეფორმა სრულიადაც არ იცავდა უმიწა-წყლო გლეხების ინტერესებს!

ვის არ ახსოვს როგორი ექსცესებით ტარდებოდა ჩვენი მიწის პოლიტიკა!

აქედან ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უფრო მეტი მისცა გლეხებს, ვიდრე ჩვენ.

ავიღოთ შემდეგ მუშათა საკითხი. კულტურული მუშაობა მუშათა შორის დღეს გაცილებით უფრო ინტენსიურად სწარმოებს, ვიდრე წინად. სად გვქონდა წინად კომუნისტური უნივერსიტეტები, მუშათა ფაკულტეტები, პოლიტიკური წრეები და სხვა?

ავიღოთ მუშათა მონაწილეობა გაზეთებში. ჩვენ არ ვაქცევდით განსაკუთრებულ ყურადღებას მუშათა ხმას ჩვენს პრესაში. მუშების წერილს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

მე თვით ვიყავი რკინის გზელთა კავშირის ცენტრალურ—კომიტეტის ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი და მახსოვს როგორი ყურადღება ექცეოდა საერთოდ ჩვენი მუშების წერილებს, რა ხაზი ტარდებოდა ამ მხრივ.

დღეს კი ჩვენ გვაქვს ჩვენს პრესაში მუშათა ორგანიზაციული მონაწილეობა, მუშკორების სახით; ეს ძალიან დიდი მოვლენაა.

გადავიდეთ მუშათა ეკონომიურ მდგომარეობაზე.

საშუალო ხელფასი 1913 წელს უდრიდა 28 მანეთს.

თუ შევადარებთ სიძვირის ზრდას ხელფასის ზრდასთან, 1913 წლიდან დაწყებული, მივიღებთ შემდეგ სურათს.

(შედარებით ციფრებში ქართ. ბონეებით).

წელიწადები	ბაზ. ფასები:	ხელფასი:
1913	100	100
1916	141,7	119,7
1918	2.940	1428,6
1920	1.76152	34000
1921	8038874,2	970580
1922 (ივნისი)	12.862.200	1.552.928.

შეფარდება ხელფასსა და სიძვირის ვალიუტის შორის ასეთია:

წელიწადები	ხელფ.	სიძვირ.	დონე.
1913	1	1	
1916	1	1,1	
1918	1	2	
1920	1	5	
1921	1	8	
1922	1	1,8	

1923 წელს ხელფასი თითქმის სავსებით დაეწია სიძვირის ზრდას.

მართალია, ხელფასი ეხლაც ძალიან დაშორებულია ომამდე არსებულ ხელფასს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ ერთ ფრიად საინტერესო და საყურადღებო მოვლენას: მაშინ როდესაც, 1916 წლიდან 1921 წლამდე სულ უკან და უკან რჩებოდა ხელფასი სიძვირის ზრდასთან შედარებით (1920 წ.—5-ჯერ 1921 წ. 8-ჯერ) 1922 და 1923 წლ. ჩვენ ვხედავთ, რომ ხელფასი დაეწია ბაზრის ფასებს.

აიღეთ ხელფასის გასტუმრება მტკიცე მანეთის ინდექსით. განა ეს არ არის დიდი მიღწევა რეალურ ხელფასის შენარჩუნების მხრივ?

მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ ამის დანახვა!

თარგამაძე მოგვითხრობდა, რომ ჩვენში იღუპება მრეწველობაო.

დიახ, მართალია, ჩვენ საერთოდ ცუდი მემკვიდრეობა მივიღეთ მეფის რეჟიმისაგან. იმპერიალისტურ ომის შემდეგ სად არ შემცირდა წარმოება?!

მაგრამ შეხედეთ როგორ გმირულ ზომებს იღებს საბჭოთა ხელისუფლება ამ მეურნეობის აღსადგენად.

თბილისში ზოგიერთ წარმოებებში შრომის ინტენსივობა უკვე უახლოვდება ომამდე არსებულ ნორმას. ეს დიდი მიღწევაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისთვისაც კი.

ეი, აიღეთ, თუ გნებავთ, ყველა ის ღონისძიებანი, რომელიც ტარდება ჩვენში, მელიორაცია, მძიმე ინდუსტრიის აღდგენა (ჩათაზში), ელექტროფიკაცია, (ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრონის სადგური), სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, სერიოზული ყურადღება კომუნალურ მეურნეობისადმი... განა ყველაფერ ამას მტკიცება ესაჭიროება?

თარგამაძემ ცარიელ სიტყვებს ისვრიდა ხოლო ფაქტები და ციფრები სულ სხვას ამტკიცებენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ დაშორებული ვართ ომამდე არსებულ პერიოდს, მაგრამ ამის მიზეზია არა ბოლშევიზმი და არა საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმი.

თარგამაძე შემდეგ ამბობს, რომ კომუნისტურ ძალაუფლების გაძლიერება გამოიწვევს რეაქციის გაძლიერებასო.

ახალი ამბავი! ყოველი ზედ დაწოლა იწვევს წინააღმდეგ ზედ დაწოლას. ეს არის ფიზიკური კანონი.

და რა თქმა უნდა, რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება იწვევს აურ-ზაურს, ბრძოლისათვის მზადებას, და აგრესიულ ზომებსაც კი გაბატონებულ კლასების მხრივ. ეს ასეც უნდა იყოს და რეგვენი და გულუბრყვილოა ის რევოლიუციონერი და სოციალისტი, რომელიც ფიქრობს, რომ სოციალისტური წესწყობილება შეიძლება დამყარებულ იქნას კაპიტალისტების კლასის მხრივ დამოკიდებულების გამწვავების გარეშე.

ასე ფიქრობს გულუბრყვილო სოციალისტი სნოუდენი, რომელიც კენჭის ყრით ფიქრობს ბურჟუაზიულ ინგლისის პარლამენტში გაატაროს კანონი ინგლისში სოციალისტურ წესწყობილების შემოღების შესახებ.

ასე ფიქრობს თურმე თარგამაძეც, ეხლა ვიტყვით ორიოდე სიტყვას მას დემოგოგიურ გამოსვლაზე იმ მუშების და ინტელიგენტების წინააღმდეგ, რომელნიც ანალიზს უკეთებენ თავის ძველ ტაქტიკას.

ძველი ტაქტიკის გადასინჯვა თავისი და სხვისი მოღვაწეობის ანალიზი არასოდეს არ ითვლებოდა დანაშაულად. რევოლიუციონური სინდისი და რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს აღიარო, როდესაც რწმუნდები შენს შეცდომებში. რა შუაშია აქ თავმოყვარეობა, რომელზედაც ასეთის პათოსით ლაპარაკობდა მოქალაქე თარგამაძე.

რევოლიუციის ინტერესები, რევოლიუციის გამარჯვება პირველ ყოვლისა.

თუ ჩვენ ვრწმუნდებით რევოლიუციონურ მოღვაწეობის დროს ჩვენს შეცდომებში, განა შესაძლებელია მაშინ თავმოყვარეობაზე ლაპარაკი?

განა სინდისიერი რევოლიუციონერი იტყვის:

— მართალია მე მივდივარ და მიჰყავს მასსა შემცდარი გზით, მაგრამ რევოლიუციონერის თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევს შევიცვალო გზა...

ეს დანაშაულია რევოლიუციის წინაშე!

შემდეგ თარგამაძე ლაპარაკობდა იმაზე, რომ ძალდატანებით აიძულებენ გამოვიდენ პარტიიდან, მოსყიდულები არიანო და სხვა.

მე არ ვიცი, როდის დაიწყო თარგამაძემ რევოლიუციონური მოღვაწეობა... მაგრამ ეფიქრობ, რომ ის სრულიად არ იცნობს რევოლიუციონერის ტრადიციებს.

თუ მეფის კატორღამ, ციმბირმა, სახრჩობელამ ვერ ჩაჭკლეს რევოლიუციონური სული იმ ძველ მებრძოლებში, რომელნიც დღეს გადიან მენშევიკურ პარტიიდან, თუ „ოხრანკის“ „ოქროს მთებს“ სასტიკი პროტესტით და ზიზღით უარყოფდენ ისინი, ნუ თუ დღეს ეს ძველი რევოლიუციონერები ისე წახდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებით ისინი ხელს აწერენ თავის სიკვდილის განაჩენზე და ჰყიდიან თავს.

უცნაური და გაუგებარია იმ ღრმა პროცესის განმარტება, რომელსაც დღეს ვაწარმოებენ!

ძალიან კუდათ იცნობს მოქ. თარგამაძე ჩვენ ძველ, რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილ მუშებს, თუ ის ფიქრობს, რომ ასე ადვილად უარყოფენ ისინი თავიანთ ტაქტიკას.

ცუდათ იცნობს მოქ. თარგამაძე ჩვენ რევოლიუციონურ მოძრაობას, თუ ფიქრობს, რომ შესაძლებელია მისი მოსყიდვა.

ასე შეუძლიათ მსჯელობა მხოლოდ რევოლიუციის უსუსურ ბალღებს, გაბოროტებულ დემაგოგებს და ჩვენ რევოლიუციაში უპასუხისმგებლო პირებს.

ვინ ვერ ხედავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ღრმა ფსიქოლოგიურ გადატეხასთან?

ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას, ვხედავდით ჩვენ მუშაობასაც. და დროა ანალიზი გაუკეთოდ ამ მუშაობათ!..

დაიწყო რა დემაგოგიით, მოქ. თარგამაძემ თავისი დეკლარაცია დემაგოგიითვე დაამთავრა.

მაგრამ ძირითად საკითხზე: საითკენ მივყევართ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც პერსპექტივები ამ ბრძოლისა, რა მიზანს ემსახურება ეს ბრძოლა, რით უნდა დამთავრდეს იგი, აქვთ თუ არა პოლიტიკური ანგარიში ამ ბრძოლაში მუშათა კლასის ინტერესების დამცველებს—მან არაფერი არა სთქვა.

სამარცხვინოთ დაწყებული დეკლარაცია მან სამარცხვინოთვე დაასრულა.

მიუხედავათ სიტყვის და კენჭის ყრის სრული თავისუფლებისა, არავინ მას მხარი არ დაუჭერა, არავინ არ იზიარებდა მის შეხედულებებს, ის დარჩა მარტოთ-მარტო. საბრალო იყო მისი ხმა!

და ასეთივე საბრალო დასასრული ექნება ყველა იმათ შეხედულებებს, რომელნიც ჯერ კიდევ არ გამოსულან ფართო საბჭოთა გზაზე და არ შერიგებიან მებრძოლ პროლეტარიატის რევოლიუციონურ ნებისყოფას.

ა. რუხაძე.

რად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის რეფორმის გარშემო

ᲛᲘᲬᲐᲓᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘ ᲧᲝᲠᲬᲘᲚ ᲛᲔᲛᲐᲕᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲑᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲬᲘᲡᲛᲔᲥᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲤᲠᲐᲓᲓᲔᲑᲝᲚᲔ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲡ:

1. რევოლიუციონური ნებისყოფა არის და მუდამ გაუგლეფილი გლეხისა აღსრულდა: ყოფილ თავად აზნაურობას, სამღვდელოებას, სოფლის ბობოლებს, ქალაქებში ფუფუნებით მცხოვრებთ, ვაჭრებს და ყველა იმათ, ვისთვისაც მიწა გლეხის ოჯახის ექსპლოატაციის იარაღი იყო, დღეს მამული ჩამოერთვა და გადაეცა შრომელ გლეხობას.

ეს ჩამორთმევა დღეს უკვე სრულის წარმატებითაა დასრულებული.

2. ა. წ. 22 თებერვლის ს. ს. ც. ა. ჯ. დადგენილებაში გარკვევითაა ნაფენები წესი მიწის კონფისკაციის წესახებ საჩივარის შეტანისა. ასეთი საჩივრები სამაზრო საადგილ-მამულო კოლეგიების დადგენილებებზე, რიცხვით 500-მდე, ყველა განხილულია კომისარიატის საბჭოს მიერ და სულ ექვსნაწილი პროცენტია დაკმაყოფილებული, რადგანაც დიდი უმრავლესობა საჩივრებისა უსაფუძვლო გამოდგა.

3. მაგრამ ჩხირკედლობას ჩვეულებისაკუთარია ცდას, რომ როგორმე დაიბრუნოს ჩამორთმეული მიწა, ბოლო არ უჩანს. ისინი არც კანონით ნაჩვენებ გზას უყურებენ, არც ინსტანციებს და, მიუხედავად იმისა, რომ განსაჩივრების ვადა დიდი ხანია დაკარგული აქვთ, მაინც შემოაქვთ თხოვნები მიწადმოქმედების კომისარიატის საბჭოში.

4. მიწის დეკრეტის დამკვრელი წესით გატარების დასრულების შემდეგ, კომისარიატი განაგრძობს მიწათმოწყობას და მიწით სარგებლობის მოწესრიგებას ტეხნიკურათ, საკეცების საშუალებით, თანახმად შემუშავებული წესებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მუშაობის პროცესში ადგილ აღმოჩნდენ მიწები, რომლებიც ძალიერებენ ფონდს. არის ასეთი მოვლენა: თემს ან რაიონს რეფორმა ცარგად ჩაუტარებია. შედარებით არა მიწის მქონენი დაუკმაყოფილებია და ადგილ ფონდში მიწა დარჩენიათ, რომ სხვა თემმა, რაიონმა არ წაიღოს მიწა ან მაზრის მასშტაბით, რომ არ იქნეს ეს ფონდი განაწილებული, თვით თემი ან რაიონი მალავს მიწას: ასეთების აღმოჩენა კიდევ უფრო აადვილებს არა მქონეების დაკმაყოფილებას, ერთი თემიდან მეორეზე მიწის ბოზომით.

5. ზემოხსენებულის გამო, **კომისარიატის საბჭო და მისი ქვედა ინსტანციები განიხილავენ დღეიდან მხოლოდ იმ საჩივრებს, რომლებიც კანონიერ ვადაში არიან შეტანილი საადგილ-მამულო ინსტანციაში** და აგრეთვე ისეთ საჩივრებს, რომლებიც იქნებიან შემოტანილი მიწად მოსწყობ მიწისმზომელების მოქმედებაზე მიწადმოწყობის პროცესში, თანახმად ა. წ. 14 მარტის ინსტრუქციისა მიწადმოწყობის შესახებ, „რომლის ძალითაც მიწადმოწყობას აწარმოებენ მიწადმოქმედების კომისარიატის სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიები, სასოფლო მიწის კომიტეტის საშუალებით.

6. რაც შეეხება მოსავლის განაწილებას, მიწის იმ ნაკვეთებიდან, რომლებიც მიმდინარე წელს მიწის დეკრეტის დამკვრელი წესით გატარების დროს ჩამოეჭრა ამა თუ იმ პირს და გადაეცა დახნული, დათესილი ან დამუშავებული სხვას, ასეთ ნაკვეთებზე მოსული ჭირნახული უნდა გაანაწილოს წინანდელს და ახალ მოსარგებლეს შორის სასოფლო საადგილ-მამულო კომიტეტმა პროპორციონალურად მათ მიერ გაწეულ პირადი შრომისა. საადგილ-მამულო კომიტეტებს სასტიკათ ეკალრებათ დაიცვან ჭირნახულის განაწილებაში სრული რევოლიუციონური წესი და სამართლიანობა. საჩივარი კომიტეტების მიერ მოსალის განაწილებაზე უნდა შეტანილ იქნეს სამაზრო საადგილ-მამულო კოლეგიაში და იქ **საბოლოოთ** უნდა გადაწყდეს:

შენიშვნა: მეექვსე მუხლი არ გულისხმობს, რომ ყველა მათგანს, ვისაც დათესილი მიწა ჩამოერთვა, უსათუოთ უნდა მიეცეს წილი.

ვისაც გ. წ. შემოდგომის დათესილი ჩამორთმეეთ საზრდო არ ურჩება, მიუხედავათ იმისა, რომ მას მიწის ნორმა დაეტოვა, ასეთების საქმეს განიხილავს საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგია და შეიტანს შესწორებას პრაქტიკული მოსაზრებით.

მიწადმოქმედების კომისარი:
.ვ სტურუა

მიწათმოწყობის განყოფილების
გამგე ი. **ᲣᲕᲐᲜᲘᲐ**:

სხვადასხვა ამბები

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 24 ივლისი. **ტრედ-ᲣᲜᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲗᲐ ᲒᲐᲒᲠᲘᲡᲐᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲛᲘᲠᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ.** კავშირის წევრების სიტყვით ეს გადაწყვეტილება დიდი მარცხია ინგლისთვისო.

ინგლისის საჰაერო ფლოტი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 26 ივლისი. „მორნინგ პოსტ“-ი გადმოგვცემს, რომ სოუთჰემპტონში გამოუცდიათ უზარმაზარი საჰაერო ჰაეროპლანი. მთელი ჰაეროპლანი ფოლადისაა. მისი სისწრაფე 124 კილომეტრს უდრის საათში. ასევე გაზეთის ცნობით, საჰაერო ფლოტის სამინისტროს მიზნად დაუსახავს ინგლისის საჰაერო ფლოტის ოფიცრების რაოდენობა იქამდე გაადიდოთოვის, რომ 1000 აფიცერი და 12,000 მექანიკოსი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ.

პრეზიდენტის არჩევნების კამპანია შეერთებულ შტატებში.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 26 ივლისი. „ტაიმს“-ის სიტყვით, საავტომობილო ქარხნის პატრონ მილიარდერ ფორდის პარტია, რომელმაც პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ფორდი, დიდათ ანვითარებს თავისს მოღვაწეობას. ყვითელ გაზეთების ჯგუფის პატრონმა კირსმა ფორდს აღუთქვა ხმარის დაჭერა იმ პირობით, თუ ფორდი არჩევნებში გამოვა დამოუკიდებელ კანდიდატად.

ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ.

სტამბულინსკის მომხრეების გაქცევა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 26 ივლისი. „ტაიმსი“-ს ცნობით, სტამბულინსკის მომხრეებმა და მეგობრებმა ჟურნალისტმა კოუშევმა და მაიორ პაპოვმა მოახერხეს საპყრობილედან გაქცევა.

საბჭოთა კავშირი

ლატარიების გამართვის აკრძალვა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 25 ივლისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ 1924 წლის 1 იანვრამდი საბ. სოც. რეს. კავშირის ტერიტორიაზე აღკრძალა ყოველგვარი ლოტარეების გამართვა.

საკავშირო გამოფენაზე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 25 ივლისი. საკავშირო გამოფენაზე არსდება ბუნების სპეციალური განყოფილება, რომლის მიზანს შეადგენს ს. ს. რ. კავშირიგან ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევა.

მიწა-ტყის მუშაკთა კონფერენცია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 25 ივლისი. სექტემბრის 15-ს მოსკოვში მოიწვევენ მიწა-ტყის მუშაკთა საერთაშორისო კონფერენციას. დღის წესრიგი: ანგარიში საერთაშორისო პროპაგანდისა, ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, ხელფასი, სოციალური დაზღვევა და უმუშევრობა, აგრარული საკითხი, საორგანიზაციო საკითხები, საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის არჩევა.

წყნეთისა და ხამეცნიერო ხელსაწყოთა უბაჟოთ მიღება.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 25 ივლისი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ნება დართო სოციალისტურ საბჭოთა რესუბლიკების კავშირს უცხოეთიდან უბაჟოდ შემოიტანოს ყველა საჭირო ნივთები, ბაქოს სახალხო კომისარიატში, ბაქოს საბჭოში, აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მთავარ სამმართველოში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში, განათლების სახალხო კომისარიატში და ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატში. ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებებში საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა შემოღებული იქნება რუსულ და თურქულ ენაზე.

ᲡᲝᲩᲘᲚᲘ.

მოხავალი ეჩმიაძინის მაზრაში.

ეჩმიაძინი. 25 ივლისი. ნათესების სივრცე მაზრაში შესამჩნევად გაიზარდა. გვალვის გამო ის ნათესები, რომლებიც არ ირწყვება არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაში იმყოფებიან და თუ წვიმა არ მოვიდა მოსალოდნელია ნათესის სრული გაწყალებისა: ბაღების 98 პროც. დამუშავებულია. მინდვრის თაგვები და რქიან-საქონლის ეპიზოოტიები თავის დროზე იქნა მოსპობილი.

ᲑᲐᲛᲑᲐ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 25 ივლისი. კურდუკულინის რაიონში ბამბეულობის ნათესი საუკეთესო მდგომარეობაშია. აქა იქ შემჩნეულია ავადმყოფობა—„ჩორ“-ი, რის წინააღმდეგაც მიღებულია ზომები.

ᲚᲔᲜᲘᲜᲐᲜᲐᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 25 ივლისი. გუშინ ლენინას ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის აღსანიშნავად ოსმალეთის მისიის შენობა ერევანში მორთულიყო ყვავილებით და დროშებით.

ᲡᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ

ᲐᲖᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲘ

სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ᲑᲐᲥᲝ. 25 ივლისი. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ 22 ივლისს დაამტკიცა დროებითი დებულება აზერბეიჯანის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკისა. ბანკის ძირითად თანხად მიმდინარე წლისათვის დადგენილია 1,000,000 ჩერვონცის მანეთი.

მოხავლის დაკლება.

ᲑᲐᲥᲝ. 25 ივლისი. სასურსათო სახალხო კომისარიატის მოხსენებით, რადგანაც მაზრებში სტიქიურ უბედურებათა გამო მოსავლის რაოდენობას დაუკლია, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, დასწყიოს მოსავლიანობის დონე შემდეგნაირად: გოგჩის მაზრაში—45—40 ფუთამდე დესეტინაზე ყუბის-მაზრაში—30—40 ფ. განჯისა—35—40 ფ. გარდა განჯის იმ რაიონებისა სადაც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ. ამ ადგილების მოსავლიანობის საშუალო დონედ დასტოვეს დესეტინაზე 45—50 ფუთი.

ᲮᲐᲚᲮᲝᲑᲘᲡ ᲔᲜᲐ.

ᲑᲐᲥᲝ. 25 ივლისი. აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, დაუყოვნებლივ შემოიღოს თურქული ენა შემდეგ დაწესებულებებში: აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, შინაგან საქმეთა კომისარიატში, შრომის კომისარიატში, მუშა-გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში, სოციალურ უზრუნველობაში, უტყუარი ფაქტია პურეულობის ზედმეტი გაიფება შედარებით სხვა საგნებთან ყველა დასახელებულ ქალაქებში. აღნიშნული არის ფრიად სერიოზული მოვლენა, რომელსაც უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში და მიღებულ იქმნას სახელმწიფო ზომები უკეთესი კონიუნქტურის შესაქმნელათ ჩვენი გლეხისთვის.

რომ დავამთავროთ ჩვენი მიმოხილვა, მოვახდინოთ კიდევ მცირე ანალიზი და გავიგოთ, თუ საქონლის საერთო გაძვირებაზე თვითეული საქონლის ჯგუფი რა გავლენას ახდენდა.

მაისში, შედარებით აპრილთან, საქონლის საერთო გაძვირება ქუთაისში უდრიდა 76 პროც., ყველაზე ძალიან გაძვირებულა აქ სასურსათო საბაკალეო საგნები—108 პროც. და საბაკალეო არა სასურსათო საგნები და ბოსტნეული-კი 91 პროც.; თბილისში საერთო გაძვირება უდრიდა აპრილთან შედარებით—46 პროც., ყველაზე ძალიან გაძვირებულა ბოსტნეული—135 პროც. და საბაკალეო არა სასურსათო საგნები—82 პროც.; ბათომში-კი, საერთო გაძვირება უდრიდა 62 პროც, ხოლო განათების საგნები გაძვირებულა 133 პროც., საბაკალეო არა სასურსათო საგნები—128 პროც. და ხორცი—102 პროც.

საერთოთ, მაისში **მრეწველობის ყველა საქონლის ჯგუფები გაძვირებულა სამივე დასახელებულ ქალაქში უფრო მეტათ, ვიდრე სახელმწიფო სამეურნეო საგნები** გარდა ბოსტნეულისა ბათომში და ხორცისა თბილისში, **პურეულობა-კი თავისი ფასებით ყველა საგნებზე დაბლა იდგა.**

ლ. **ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ

ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.

ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ მთელს აღმოსავლეთ საქართველოშია დასრულებული სასოფლო სიების შედგენა. მთლიან სასოფლო-სამ. ურნეო გადასახადით დასაბეგვრ ობიექტების აღნუსხვის შემდეგ სამაზრო საგადასახადო საეულმა ყველგან გულმოდგინედ შეამოწმეს გადამწერთაგან შეგროვილი ცნობები. სამეულებმა ეს ცნობები შეადარეს შემდეგ მასალებს: მათს განკარგულებაში მყოფ სასტატისტიკო ცნობებს, უკანასკნელ საადგილ-მამულო დაბეგვრის შედეგებს და წინა წლების ნატურ გადასახადის კამპანიის სიებს. საჭირო შემთხვევებში სწარმოებდა მეურნეობათა ფაქტიური შემოწმებაც. შემოწმებული იქნა აგრეთვე მიწის სივრცის ადგილობრივი საზომი ერმის გამოსარკვევად, თუ ადგილობრივი საზომი სახაზინო დესეტინის რამდენ ნაწილს შეადგენს. ამ ზომების განხორციელებას შედეგად ის მოჰყვა, რომ მიღებულ იქნა დასაბეგვრ ობიექტების სწორი და ნამდვილი რაოდენობა. მაგალითად გამოიარკვა, რომ გორის მაზრაში პირველ ხანად მიწის სივრცე ნაკლები იყო ნაჩვენები იმის გამო, რომ სასოფლო სიების შემდგენელნი უძარავ ქონებათა აღწერის დროს „დღიურ“ მიწას 1200 ოთხკუთხა საეენად სთვლიდნენ იმ დროს, როდესაც გორის მაზრაში მიღებული საზომი „დღიური“ ჩვეულებრივ აღემატება ზემონაჩვენებ სივრცეს. ამის გამო სამეულის დადგენილებით გორის მაზრის ტიპიურ ადგილებში ადგილობრივად გაზომილ იქნა დღიური მიწა და აღმოჩნდა, რომ იგი აღემატება 1200 საეენს. ამ რიგად აღმოჩენილ იქნა დანაკლის მიწის სივრცე.

ადგილობრივად უკვე გამოყენებულია მაზრობრივი ჯამები აღნუსხულ სახნავისა, ვენახისა და სხვა გამოსადეგი მიწისა, აგრეთვე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისა. ეს ჯამები უკვე ეცნობა ცენტრს. ამ ჟამად მაზრებში თავდება სხვა და სხვა მიწის გადატანა სახნავზე და წვრილფეხა საქონლის გადატანა მსხვილფეხა საკლავ საქონელზე. ამის გამო ცენტრში უკვე დაიწყო თვითეულ მაზრის კუთვნილ გადასახადის რაოდენობის გამოარკვევა; ცენტრი აგრეთვე არკვევს, თუ რამდენი გადასახადია მოსალოდნელი ხორბლეულის ერთეულით იმ მაზრებში, სადაც გადასახადი ნატურით უნდა აიკრიფოს.

ა. | კ. ცენტრ. აღმასკომსა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამა წლის ივლისის 9 ს თარიღით გადასახადი ნატურით უნდა აიკრიფოს გორისა, თიანეთისა და ზუგდიდის მაზრაში, სიღნაღის მაზრის რაიონებში: შორაქისა, აღაზანის გალმა მხრისა და ქიზიყისაში; ქობულეთის (ჩახატის თემის გამოკლებით), ბათომის და აშარის წყლის მაზრებში—(აჭარა) და სამხრეთ-ოსეთში. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადასახადი უნდა აიკრიფოს განსაკუთრებით ფულად.

ცენტრს უკვე მიღებული აქვს ზომები, რათა იმ რაიონებში, სადაც გადასახადი ნატურით უნდა აიკრიფოს, დროზე იქნეს მოწყობილი დამამზადებელი კანტორები (შემნახველმიმღები პუნქტები და სხვა ადგილები გადასახადის ნატურით მისაღებად და შესანახად). ადგილებიდან უკვე მოთხოვნილია ცენტრის მიერ ამ დამამზადებელ კანტორებისა და მიმღებ პუნქტების მოწყობის ხარჯთაღრიცხვა, აგრედვე ცნობები ადგილებში საჭირო ტომრების რიცხვისა და სხვა საჭირო მასალების შესახებ.

რესპუბლიკანურს საგადასახადო კომისიაში შემუშავებულ იქმნა: ა) აღმოსავლეთ საქართველოს თანგორიან ადგილების მოსავლიანობის ხარისხის დაწესების პროექტი და „ბ) იმ საცდელ მინდვრებისა, საჩვენებელ და სათესლე პლანტაციების სია, რომელიც მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-9 მუხლის თანახმად გადასახადისაგან განთავისუფლებული უნდა იქნენ. ამას გარდა კომისიამ ადგილებს მოსთხოვა ცნობები იმ მეურნეობათა შესახებ, რომელთაც 1921—1923 წელს სამელიორაციო სამუშაო შეასრულა და ამატომ დეკრეტის მე-9 მუხლის მე 3 პუნქტის თანახმად გადასახადის რაოდენობის 25 პროცენტის გადახდევნებისაგან განთავისუფლებულნი უნდა იქნენ. ამ ცნობების მოთხოვნილებასთან ერთად ადგილებს გაეგზავნათ ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია იმ შეღავათების შესახებ, რომელიც უნდა მიეცეთ გადამხდელ სამელიორაციო სამუშაოს შესრულებისათვის.

დასავლეთს საქართველოში, სადაც ცენტრის ინსტრუქციის თანახმად, სასოფლო სიების შედგენა აგვისტოს 15-სთვის უნდა დასრულდეს, მუშაობა გაბურებულია. ზოგან სიების შედგენა უკვე დასრულებულია და სამაზრო საგადასახადო სამეულები ამ სიებს ამოწმებენ.

ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ.

ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატმა და ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ამა წლის ივლისის 22-ს თარიღით შემდეგი დადგენილება გამოსცეს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების ვადების შესახებ.

„I თანახმად ა. | კ. ცენტრალურ აღმასკომის და ა. | კ. სახალხო კომისართა სახალხო საბჭოს მიერ ამა წლის აპრილის 23-ს თარიღით გამოცემულ მთლიან სასოფლო-სამ. ეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-16 მუხლისა, ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატი და ფინანსთა სახალხო სასურსათო კომისარიატი შემდეგს უკანასკნელს ვადებს აწესებენ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასაბარებლად როგორც იმ რაიონებში, სადაც გადასახადი ფულად უნდა აიკრიბოს, ისე იმ რაიონებში, სადაც გადასახადი ნატურით უნდა აიკრიბოს:

ა) **აზერბეიჯანისთვის**—დაბლობს რაიონში 1923 წ. სექტემბრის 15; მთაგორიან ადგილებში—1923 წ. ნოემბრის 1.

ბ) **აღმოსავლეთ საქართველოსთვის**: დაბლობს ადგილებში—1923 წ. ოქტომბრის 1; მთაგორიან ადგილებში—1923 წ. ნოემბრის 15.

გ) **დასავლეთ საქართველოსთვის**: აფხაზეთისა და აჭარისთვის—1924 წლის თებერვლის 1.

დ) **სომხეთისთვის**—1923 წ. დეკემბრის 1.

II. ამიერ კავკასიის რესპუბლიკის სახალხო სასურსათო კომისარიატებს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ უფლება ეძლევათ, ერთმანეთთან შეთანხმებითი, რომ დააწესონ ფულადის, თუ ნატურალურ გადასახადის ნაწილობრივი გადახდის ვადები ამ საქონლის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია ამა დადგენილების პირველ მუხლით.

III. ნაწილობრივ გადასახადის ჩაბარების ვადების დაწესებას სახალხო სასურსათო კომისარიატები და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი დაუყოვნებლივ აცნობებენ ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატს“.

ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲢᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ.

ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატმა და ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატებს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს რწმუნებულთ საგანგებო ცირკულიარი დაუგზავნა, რომლითაც აცნობებს:

„ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომის საშტატო კომისიის მიერ, ამიერ-კავკასიის ყველა სახელმწიფო დაწესებულებისთვის და კერძო სასურსათო ორგანოებისთვის, შემოკლების შემდეგ, დაწესებულია მტკიცე შტატები, რომლის მიხედვითაც ყოველთვიურად ეძლევათ სამუშაო ხელფასის განსაზღვრული ფონდი.

ამის მიუხედავად ამიერ-კავკასიის ფედერაციის ზოგიერთ რესპუბლიკის სახალხო სასურსათო კომისარიატებში არის თვალსაჩინო რიცხვი თანამშრომლებისა, რომელნიც მოწვეულნი არიან, აღნიშნულ მტკიცე შტატების გარეშე, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სამუშაოზე და რომელთა ჯამაგირიც, რომელიც დროებით იფარება თავისუფალ ფულიდან ხარჯთ-აღრიცხვის სხვადასხვა მუხლიდან სხვა წყაროებიდან, განზრახულია შემდეგში გასტუმრებული იქმნეს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავლით.

განვმარტავთ, რომ ა. | კ. ცენტრ. აღმასკომის მიერ ამა წლის აპრილის 29 ს გამოცემულ ცირკულიარის ნამდვილ სფუძველის მიხედვით, არავითარის ხარჯების მიკუთვნება არ შეიძლება მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავალზე, აგრეთვე არ შეიძლება რისამე გადარიცხვა გარდა ა. | კ. ცენტრ. აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის აპრილის 23-ს თარიღით გამოცემულ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტით გათვალისწინებულ გადარიცხვისა ან ხარჯებისა, რომელიც დაწესებულია შემდეგის დეკრეტებით.

თუ ნამდვილად არის საჭირო თანამშრომლების მოწვევა დაწესებულ მტკიცე შტატების ზემოდ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროებითი სამუშაოსთვის, მაშინ კრედიტის მისაღებად ნორმალურ სახარჯთ-აღრიცხვო წესით დაუყოვნებლივ აღძრული უნდა იყოს სათანადო დასაბუთებული შუამდგომლობა.

პასუხისმგებლობა ამ განმარტების დარღვევისა, ან შეუსრულებლობისათვის ეკისრება პირადად ამ კრედიტების განმწესრიგებლებს“.

ᲮᲝᲠᲪᲚᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲜᲚᲘᲡ ᲔᲙᲘᲕᲐᲚᲔᲜᲢᲝᲑᲘᲗ.

ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატმა და ფინანს. სახალხო კომისარიატმა შემდეგი დადგენილება გამოსცეს ხორბლეულის ერთეულის საქონლის ეკვივალენტების შესახებ:

„I ა. | კ. ცენტრალურ აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის აპრილის 23-ს თარიღით გამოცემულ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-2, 4, 5 და 6 მუხლების თანახმად, ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატი და ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ხორბლის ერთეულის შემდეგს ეკვივალენტებს ამტკიცებენ.

ერთი ფუთი ხორბლის ნაცვლად შეიძლება გადახდილ იქმნეს:

ქერი. . . .	1	ნახ. ფ.
გაფუშენდავი ბრინჯი ან შვრია . .	2	ფ.
სიმინდი . . .	1	ნახ. ფ.
ვავი . . .	1	ფ.
ბრინჯი . . .	—	20 გ.

II. ფეტვი და „პოლბა“ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანგარიშში მიღებული არ უნდა იქნეს.

III. გადასახადის აკრება სასოფლო მეურნეობის იმ პროდუქტებით, რომელიც მარცვლეულს არ წარმოადგენს, აგრედვე აქ ნახსენებ მარცვლეულის გარდა სხვა მარცვლეულის აკრება დაუშვებელია“.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ (გურია).

გურიის ეს რაიონი მოწყვეტილი არის სამაზრო ქალაქიდან, რის გამოც პარტიული მუშაობა რამოდენიმეთ მოისუსტებდა. სურების რაიკომში შემოდის სამი თემი, რომლებიც საკმაოდ დაშორებული არიან როგორც ერთიმეორეთან, ისე ცენტრიდან, რის გამოც ძალიან გვიანდებოდა ყოველგვარი ცნობების და გაზეთების მიღება. რაიკომმა აღადგინა და შეაკეთა სამკითხველოები, გამოწერილია „კომუნისტი“ 27 ცალი აგრეთვე „მიწის მუშა“ და რაიკომი თვითონ ხელმძღვანელობს ამ საქმეს. ეკლესიები გადაკეთებული იქნა თვით ხალხის დადგენილებით, ორი სახალხო სახლათ და ერთი კი სასწავლებლად. რაიკომის მიერ გადადგმულია ნაბიჯი გზების შესაკეთებლად და გასაყვანად ეწყობა შაბათობა თემებში, სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა აღმშენებლობის დარგში. გურიის კომიტეტი და სამაზრო აღმასკომი დიდ—ყურადღებას აქცევს ამ რაიონს განსაკუთრებით, რადგანაც ის მოწყვეტილია ცენტრზედ. კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების გავლენა ამ რაიონში, ბოლო დრომდე დიდი იყო, მაგრამ ამჟამად პარტკომის მუშაობით მასის თანგარძნობა კომპარტიის მხარეზეა.

ᲮᲐᲜ.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲚᲘᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

(26 ივლისი).

ჩერვონცები	—	19,100
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.	—	1875
გირ. სტერლინგ. ეფექტ.		18,000
ჩეკები	—	15,900
დოლარი ეფექტ.	—	3,750
ჩეკები	—	3,350
ოსმალ. ქაღალ. ლირა.	—	2,725
იტალიური ლირა	—	140
ფრანგული ფრანკი	—	210
საბჭ. ფულ. ნიშ.	—	18,75

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ.

(26 ივლისი).

შაქარი რაფინადი—800 ათ., შაქრის ფხვნილი - 670, პური 2 ხარის.—50 ათ., ფქვილი თეთრი—120 ათ., ყველი თუშური 460 ათ., ხეთი—320 ათ., ერბო—700 ათ., საპონი როსტოვის 380 ათ., საპონი „ტოილეტი“ 450 ათ., ქართოფილი—35 ათ., ლობიო წითელი—20 ათ., ჭარხალი კონა— 40 ათ., კომბოსტო—50 ათ., კარაქი — 1,200 ათ., ხორცი ძროხის—375 ათ., ბრინჯი—280 ათ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ.

(26 ივლისი)

ნატეხი შაქარი—900, ფხვნილი შაქარი—700, პური 1 ხარ.—90-120 ათასი., ფქვილი თეთრი გირ.—130 150 ათასი; ერბო—700—800., კარაქი 700—800 ათ. თუშური ყველი—450 ათ., სამარხვო ზეთი—400, წითელი ლობიო—40—50 ათ., მწვანე ლობიო—60—100., კომბოსტო—50., ბადრიჯანი ცალი—25-50., კვერცხი 10 ც.—500 ათასი. ხორცი ძროხის—350—400; ცხვრის ხორცი—400-450 ათ., აგდაშის ბრინჯი—250, საპონი „ტოილეტი“—450, მარმალოლის საპონი—400 ათასი, კარტოფილი 35—40 ათ.

ᲑᲘᲠᲯᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲚᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲣᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲓᲔᲑᲐ.

(26 ივლისი).

საპონი, ფხვნილი შაქარი 1 ხარ. რკინეულობა, კაუსტიური სოდა, ბაქოსი და ქუღლინის მარილი, რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები, ფანჯრის მინები, საამშენებლო ლურსმნები, ასანთი რუსეთის, ს. მ. უ. ს. საეციერო-საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია, რუსეთის ფარმოლეულობა, ტყავის სინდიკატის

ᲨᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲛᲪᲕᲘᲠᲗᲐᲕ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ

(შრომის დაცვის ორგანოების საყურადღებოდ)

რკ. გზის ხაზზედ მომუშავე მტვირთავი მუშები განიცდიან აუტანელ მტგომარეობას; ისინი არ სარგებლობენ უფასო სამგზავრო ბილეთებით; არ ეძლევათ საშუალება როგორც მათ, ისე მათი ოჯახის წევრებს ავადმყოფობის დროს იმოგზავრონ საავადმყოფო პუნქტებამდე საექიმო დახმარების მისაღებად. ეს კი ქმნის სწორედ მათ აუტანელ მდგომარეობას. ამიტომ მომავალში აღნიშნულ მუშებს და მათი ოჯახის წევრებს ავადმყოფობის დროს აუცილებლად უნდა მიეცეთ სამოგზავრო ფული „ტრამოტის“ ხარჯზედ. საავადმყოფო პუნქტებამდე მისასვლელად.

რაც შეეხება საერთოდ „ტრამოტას“ მუშა-მოსამსახურეებს, მათ, როგორც სხვა. რკ. გზაზე მომუშავეებს, წილიწადში ორხელ მაინც, შვებულების დროს, უნდა მიეცეს ან უფასო ბილეთები, ან და სამოგზავრო ფული; ამით ჩვენ მუდამ ვსარგებლობდით უწინ და უნდა ვისარგებლოდ ეხლაც. ყველა ზემოხსენებულს ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება მუშათა ორგანოებმა და შრომის კომისარიატმა. მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება, მხოლოდ აქ არის საჭირო ცოტა ენერგიის და დროს დახარჯვა ავტორიტეტულ ორგანოების მიერ, რის შესრულებასაც მათგან ჩვენ მოვითხოვთ.

ტრამოტელი **ვ. ანთიძე.**

—

ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲒᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ყოფილ ორთაჭალის ძველი სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ მიმდინარე წლის 22 ივლისს ორთაჭალის საზაფხულო კლუბის შენობაში მოიწვია ყოფილი სცენის მოყვარეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მუშა-მსახიობ ლეონ—ბაღაშვილის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო საზეიმო საღამოს მოწყობა. ამას მოწვეული ამხანაგები სიხარულით შეხვდნენ და ერთხმად გადასწყვეტეს მოაწყონ საღამო ახლო მომავალში. რისთვის კრებამ ამოირჩია საღამოს მომწყობი კომისია—7 კაცისგან შემდგარი. მხოლოთ მე მოვკარი ყური ზოგიერთ ამხანაგების საუბარს, რომ მათ სურთ გამართონ ამხ. ბაღაშვილის საღამო რომელიმე დიდ თეატრში.

მე კი მ'ურს ამხანაგებს გავაცნო ჩემი აზრი ამის შესახებ. ნუ დაგვიწყდება, რომ ჩვენს მუშა-მსახიობებს მუშათა უბნებში უშრომნიათ; მუშათა მასაში შეუტანიათ მათ კულტურა და ხელოვნებაც. ამხ. ლეონ ბაღაშვილს თავისი შრომა და ცოდნა ამხანაგ მუშებისათვის დაუზოგავად დაუხარჯავს იქ, მუშათა უბნებში მე კარგად მახსოვს ლ. ბაღაშვილის ტანჯვა-წვალება. მას უხდებოდა ყინვაში, თოვლ-წვიმაში სიარული უსასყიდლოდ ყოფილ „კამეტი ფაბრიკის“ ქუჩიდან ორთაჭალის კლუბამდის, სადაც ის გულწრფელად ემსახურებოდა თავის დიდს საქმეს. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ მუშათა კლუბში მეტ სიყვარულს და ყურადღებას მოიპოვებს ამხ. ლეონი, ვიდრე რუსთაველის თეატრში. მუშა-მსახიობს მუშათა უბანში უნდა გაუმართოთ მუშური საღამო, რათა უფრო გამოვაცოცხლოთ ჩვენი უბნები.

მუშკორი **გ. მ—შვილი.**

—

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

დასავლეთ ქვეყნებში წარსულში და ეხლაც ხშირი არის მაგალითები, რომ მუშა-ხელოსანს დიდ გამოგონებისთვის მიუღწევია ტეხნიკის სფეროში. რაც შეეხება მანქანების და ხელსაწყო იარაღების გაუმჯობესებას, თითქმის 80 პროცენტი გაუმჯობესებებია მუშებს ეკუთვნის. უწინ ჩვენშიც ყოფილა შემთხვევა მუშების მიერ ტეხნიკურ იარაღების გამოგონებისა და უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში ჩვენი მუშებიც მრეწველობის აყვავებასთან ერთად საწარმოვო იარაღების გაუმჯობესებაში თავის წვლილს შეიტანენ. ამის თავდებია ის გამოგონებები, რომელთაც ამ მოკლე ხანში ჰქონდა ადგილი ქალ. თბილისში. ამხ. ს. ასათიანმა და ე. ლეპაცოვმა (ორივე მუშები არიან) ამ რამოდენიმე კვირის წინად გამოიგონეს ეგრედ წოდებული **„კუსტარული თვითმქსოველი“**. ეს გამოგონება დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საფეიქრო ტეხნიკაში, რადგან ამ მანქანის გამოყენება და გავრცელება, შინაურ საფეიქრო ხელოსნობაში ახალ ხანასა ქმნის. „თვითმქსოველის“ აგებულება და წყობა ძალიან მარტივია და მასთან მეტად თავისებური; იგი მაგარი ხისგან გაკეთებული იგივე საფეიქრო ჩარხია, მხოლოდ კარგად მიმაგრებული და შეზომილი მიხრახნილ ძელთან, რომლის საკისრებზე მოწყობილია ღერძი უბრალო მექანიზმებთან, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ ბატანი, მაქო და თასმები. ღერძზეა დადგმული აგრეთვე რეგულიარი, რომელის დანიშნულება მექანიზმის შეჩერებაა და მქნეკარი ბორბლები. მამოძრავებელ ძალის წყაროდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი თვითმოძრავი. მანქანის ასამოძრავებლად საჭიროა ერთი მეოთხედი **„ცხენის ძალა“**. საკმაოა მდინარე წყლის ცოტაოდენი ვარდნა, რომ მოძრაობაში მოვიდეს ასეული „თვითმქსოველი“ ეს მანქანა მსუბუქ ქსოვილების დამზადებაში უნაკლო და საუკეთესოა. დამზადება თვითეულ მანქანისა დაჯდება არა უმეტეს 200—250 მან. (ოქროთი) **„კუსტარული თვითმქსოველი“** მეტად მარტივი, და ამავე დროს ძვირფასი და სერიოზულ გამოგონებაა. იმედი გვაქვს რომ ჩვენი მთავრობა თავის დროზე მისცემს საშვალებას გამომგონს თავისი „თვით-მქსოველის“ დასამზადებლად.

მუშკორი მეგობარი.

—

ᲛᲣᲨᲤᲐᲙᲔᲚᲔᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲒᲐ.

ა. წ. 19 ივლისს მკერავთა კავშირის შენობაში მოხდა საერთო კრება მუშფაკოს ყველა მსმენელებისა. კრება იქნა გახსნილი ჩვენივე მოწვიფის ამხ. ნუცუბიძის მიერ. დღიურ წესრიგში იდგა ერთი უმთავრესი და მწვავე საკითხი სამკერვალოს კრიტიკულ მდგომარეობის შესახებ. კრებამ იქონია რა მსჯელობა ამ საკითხზე, დაადგინა მიმართოს თხოვნით პროფკავშირთა საბჭოს დახმარების აღმოჩენისათვის მათზე სესხის გაცემით. კრება დარწმუნებულია, რომ მათ დადგენილებას მიეცეცა სათანადო ყურადღება.

მუშკორი მ. გველესიანი.

—

ᲓᲐᲣᲬᲕᲔᲒᲔᲚᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲒᲐ.

(შრომის კომისარიატის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

რომელი რკინისგზელი არ იცნობს ჩვენი გზის მუშაკს ივანე ბოგდანის ძე კვარაცხელიას, რომელიც 44 წელიწადი სრულიად დაუღალავად მოღვაწეობს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ და რომელსაც „რკინსგზელები რკინის გზის „ცოცხალ ისტორიას“ უწოდებენ.

ნახევარ საუკუნის განმავლობაში ამხ. კვარაცხელია ეწევა ფრიად ნაყოფიერ შრომას და დიდი სარგებლობაც მოუტანია მას რკ. გზისათვის.

გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია დაწერილებით აღწერა მისი მოღვაწეობისა და ამავე დროს იმ ბრძოლისა, რომელსაც ის მუდამ აწარმოებდა ანგარების მოყვარე დიდი თანამდებობის მექონე მოხელეებთან.

ბევრი მათგანი მისი მეცადინეობით განდევნილ იქნენ რკ. გზიდან, რომელიც მათ თავის მწველელ ფუნარად გაეხადათ.

მისი ერთგული და ცოდნით სავსე სამსახური მუდამ იპყრობდა ყურადღებას გზის ადმინისტრაციისას. ყოველთვის, როდესაც კი ადმინისტრაციას მძიმე საქმეები ექნებოდა გადასაწყვეტი, ამხ. ივანე უთუოდ უნდა მიეწვიოთ სათათბიროდ. მის აზრებს ანგარიშს უწევდნენ და ისე სწყვეტდნენ საკითხებს.

მის მიერ შედგენილი გეგმები ამა თუ იმ საქმის შესახებ, როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციას, ისე ცენტრშიც (პეტროგრადში) ყოველთვის მიღებულიათ და განუხორციელებიათ კიდევაც ცხოვრებაში.

რკინის გზის ჟურნალებში ხშირად შევხვედრივართ ამხ. ივანეს მოღვაწეობის შესახებ მთთავსებულ წერილებს, რომლებშიაც დიდის ქებით იხსენიებენ მას

შეგნებულმა და მადლიერმა ამხანაგებმა სამჯერ გადუხადეს მას იუბილე და რკ. გზის ჟურნალში მოათავსებენ მის შესახებ ადრესებიც.

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე ახალი ადმინისტრაცია, გაეცნო რა ამხ. ივანეს მოღვაწეობას და მისი ცოდნა-გამოცდილებას რკ. გზის საქმეებში, აუცილებელ საჭირო ებად სცნო მისი სამმართველოში გადაყვანა, სადაც „მოძრაობის ნაწილში“ ის დანიშნეს უფროს ინსტრუქტორად მე-14 ხარისხის ჯამაგირით და ყოველი სპეციალური პრივილეგიებით.

წარსულ (1922 წ.) წელს ამხ. ივანემ გზის უფროსის მინდობილებით მთელი რკ. გზის მდგომარეობა, გამოარკვია და აღნიშნა მისი ყველა დეფიქტები და უჩვენა, თუ რა ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული გზის წესიერ მდგომარეობაში ჩასაყენებლად. საყურადღებო მოხსენება გაუკეთა ყველა ამის შესახებ გზის ადმინისტრაციას. ამ მოხსენების მნიშვნელობა აღნიშნულია გზის ადმინისტრაციის თვიურ ანგარიშში, რომელიც წარდგენილია უმაღლეს დაწესებულებებში.

ი. ბ. ამ ბოლო დროს შეუდგა ახალი პროექტის წერას, რომლის განხორციელებით რკ. გზის ეკონომიური მდგომარეობა ფრიად დიდ წარმატებას მიიღებდა.

აი, ამ დროს იცვლება გზის ადმინისტრაცია და ექსპლოატაციის უფროსობა ხვდება ცნობილ მოქ. ვილჟანინს. ამ უკანასკნელმა გაიგო ი. ბ. ახალი პროექტის წერა და, მის მაგივრად რომ ხელი შეეწყო მისთვის, წაეტეზებინა, დაუწყო დევნა და თანამდებობიდანაც გადაყენა. ამისათვის ვინ იცის რა არ მოიგონა მან, რა ხრიკები არ იხმარა.

ვილჟანინმა ერთი ხელის მოსმით ფეხქვეშ გათელა ამხ. ივანეს ნახევარი საუკუნის ფრიად სარგებლიანი მოღვაწეობით და დიდი შრომით მოპოებული სტაჟი.

ვილჟანინის უსამართლობა ამხ ივანემ მოახსენა გზის უფროსს პოზდიევს, რომელმაც პასუხი მოსთხოვა ვილჟანინს. ვილჟანინმა ამ შემთხვევაშიც იმისთანა ოინები მოიხმარა, რომ პოზდიევიც დაეჯერა ამხ. ივანეს უკარგისობაში და მისი თხოვნა უყურადღებოდ დაატოვებინა...

საჭიროა, რკინ. გზის ადმინისტრაციის ამხ. ივანეს მიმართ ჩადენილ უსამართობას მიეცეს შრომის კომისარიატის და პროფკავშირის ყურადღება.

გ. ც.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘ (თელავის მაზრა)

სოფელი ფშაველი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 320 კომლს, მდებარეობს ალაზანს გაღმა მხარეს, თელავიდან 28-ვერსზე. აქ გლეხობა მისდევს ხვნა-თესვას, მევენახეობას, და მეღორეობას. არსებობს ხუთ განყოფილებიანი სკოლა, რომელშიდაც 50 მოწაფე ითვლება. აქავე არის რაიონული აღმასკომი, კოოპერატივი, აგრეთვე არსებობს სამკითხველო და წ. კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. სალიკვიდაციო სკოლაში ჯერ-ჯერობით შეჩერებულია მეცადინეობა, რადგანაც გახურებული მინდვრის მუშაობა არის და დაღალული გლეხობა ვერ იცლის სწავლის მისაღებად. აქაური ეკლესია გადაკეთდა კლუბად, სადაც იმართება საღამო-წარმოდგენები. ხალხი მღვდელ დიაკვნებს ცუდი თვალით უყურებს, მიხვდა გლეხობა, რომ სამღვდელოების ქადაგება სულ თვალთმაქცობა იყო. მიცვალებულები უმღვდელოთ იმარხებიან. ჟორის მოსავალი საშუალოა, სიმინდს ძალიან კარგი პირი უჩანს. ეს მეორე დღეა, რაც წვიმს და გლეხებს ეშინიანთ რათა ვაზი არ დანაკროს წვიმამ. ვეზახები თითქმის ყველა მოსხურებულია წამლით ორ-ჯერ, ვისაც კი აქვს შაბიამანი ემზადება მესამედ მოსაწამლავად.

გლეხობა განიცდის ტანისამოსის მხრივ დიდ გაჭირვებას. თელავის ქალაქა განყოფილების ინიციატივით დაარსდა ქალთა წრე, რომელმაც მიიღო ზომები მეაბრეშუმეობის გასავრცელებლად. პარკის მოსავალი კარგი იყო. ქალებს მიაქვთ ადგილობრივ კოოპერატივში პარკი ფასთალზედ გადასაცვლელად. ხალხი დიდი იმედით უყურებს კოოპერატივის მუშაობას. არსებობს საექიმო პუნკტი, ავადმყოფები სარგებლობენ დანიშნულ დროს ექიმით უფასოთ.

შესდგა კომისია ქუჩების დასასუფთავებლათ ექ. გ. ბეგიჯანოვის მეთაურობით, შეუდგნენ ქუჩების დასუფთავებას. ადგილობრივი აღმასკომი დიდ დახმარებას უწევს ყველა დაწესებულებებს ჯერჯერობით ხალხში არავითარი ავადმყოფობა არ არის, გასულ წელს ამდროს გახშირებული იყო ციებ-ცხელება... დიდ დახმარებას უწევენ სამკითხველოს ადგილობრივი საბჭოთა ყველა დაწესებულებანი. სამკითხველოს გამოუწერეს გაზეთები აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ციხისთავმა „კომუნისტი“ და „მუშა“ თითო ეგზემპლარი თითო თვით. ფშაველის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების გამგემ კ. ფარცხალაძემ „კომუნისტი“ და ნიანგი თითო ცალი ერთი თვით. ადგილობრივმა მოსამსახურეებმა გამოიწერეს „ზარია ვოსტოკა“ ერთი თვით. თელავის პოლიტ განათლება გვიგზავნის „მიწის მუშას“ 3 ეგზემპლიარს სოფლის გლეხობა ძალიან ეჩვევა გაზეთებს მეტადრე „მიწის მუშის“ კითხვას. საჭიროა აქაურმა აგრონომმა გამართოს სამეურნეო საკითხებზე საუბრები და მოხსენებები.

ფშაველი.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲝᲑᲘᲡ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

სულით ავადმყოფის შემოწმებისათვის

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 101 ნომრის დადგენილების მეურვეობის შესახებ მე-15 მუხლის შენიშვნის ძალით იუსტიციის სახალხო კომისარი ადგენს:

1. განცხადება იმ პირის შემოწმების შესახებ, რომელიც გონებით შერყეულია, რათა ასეთი პირისათვის მეურვეობა იქნეს დანიშნული, უნდა წარედგინოს იმ ადგილის სახალხო მოსამართლეს, სადაც შესამოწმებელი ცხოვრობს.

2. ასეთი განცხადების შეტანა შეუძლიან, როგორც გონება შერყეული პირის ნათესავს და მეურვეს, ისე იმ დაწესებულებას, სადაც ავადმყოფი მსახურობს, და ავადმყოფთან ერთად მცხოვრებ პირს.

3. სახალხო მოსამართლე, როდესაც მიიღებს თხოვნას ვისიმე სულით ავადმყოფად ცნობის შესახებ, დაადგენს, რომ იგი შემოწმებულ იქნეს ექიმთა კომისიის მიერ. ქალ. ქუთაისში—ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებასთან, ან ქალ. თბილისში—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო განყოფილებასთან, ითხოვ ნ მიხედვით, თუ რომელი ამ დაწესებულებათაგანი უფრო ახლოა შესამოწმებელი პირის საცხოვრებელ ადგილთან.

4. ექიმთა კომისია შეიკრიბება სათანადო განყოფილების გამგისა ან მისი თანაშემწის თავმჯდომარეობით; იგი შესდგება არა ნაკლებ 3 სპეციალისტ ექიმისაგან, რომელიც ეკუთვნის განყოფილების ან ადგილობრივი ფსიქიატრიული კლინიკის მოსამსახურეთა რიცხვს ან და კერძო ექიმთა რიცხვს, და აგრეთვე სახალხო მოსამართლისაგან.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნულ პირთ გარდა, ექიმთა კომისიაში გადამწყვეტი ხმით მონაწილეობა შეუძლიან ექიმს, მოწვეულს თვით ავადმყოფისა ან იმ პირის მიერ, რომელმაც შემოწმება ითხოვა.

5. სად, რა დღეს, და რომელ საათს მოხდება ექიმთა კომისიის სხდომა, განყოფილება შემოწმებაზე დასასწრებლად აცნობებს:

ა) იმ პირს, ვინც ითხოვა ავადმყოფის შემოწმება.

ბ) პროკურორის ადგილობრივ თანაშემწეს.

6. შემოწმება მოხდება განყოფილების სადგომში, სადაც ავადმყოფი უნდა მოიყვანოს იმ პირმა, რომელმაც ითხოვა მისი შემოწმება.

7. ექიმთა კომისიას უფლება აქვს იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, ნორმალურია თუ არა შესამოწმებელი, გამოიყენოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიღებულია მედიცინაში სულით ავადმყოფობის გამოსარკვევად. კერძოდ ექიმთა კომისიას ეძლევა უფლება, თუ იგი ერთი შემოწმებით გარკვეულ დასკვნას ვერ დაადგება, დანიშნოს რამდენიმე ხნის შემდეგ ხელმეორე შემოწმება, ან შესამოწმებელი გამოსაცდელად მოათავსოს სპეციალ სამკურნალო დაწესებულებაში იმ ვადით, რომელსაც საჭიროდ დაინახავს.

8. კომისიის სხდომის შესახებ უნდა დაიწეროს დაწვრილებითი ოქმი, ხოლო შემოწმების შედეგისათვის დაიწერება აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს ექიმთა კომისიის ყველა წევრი.

9. მისათვის, ვისაც ექიმთა კომისია სულით ავადმყოფად სცნობს, და მისი ქონებისათვის უნდა დაწესებულ იქნეს მეურვეობა.

შენიშვნა: მეურვეობის დაწესების შესახებ სახალხო მოსამართლემ სიხალხო სასამართლოს სადგომში უნდა გამოკიდოს განცხადება.

10. სულით ავადმყოფის ხელახლივ შემოწმება მისი ჯანსაღად ცნობისათვის შეიძლება ითხოვოს, ამა ინსტრუქციის მე 2 მუხლში ჩამოთვლილ პირთ გარდა, იმ სამკურნალო დაწესებულებამ, რომელშიაც ავადმყოფი იყო მოთავსებული სამკურნალოდ, და აგრეთვე თვით ავადმყოფმაც.

11. სულით ავადმყოფის შემოწმება მისი განკურნებულად ცნობისათვის მოხდება ამა ინსტრუქციის 1—8 მუხლში აღნიშნული წესით.

12. უკეთუ შემოწმებული განკურნებულად იქნა ცნობილი, ამ გარემოებას განყოფილება აცნობებს სამეურვეო დაწესებულებას მეურვეობის გასაუქმებლად.

13. ყოველი ხარჯი, რაც კი დასჭირდება შემოწმებასა და მეურვეობის დანიშვნას, უნდა დაეკისროს შესამოწმებელ პირს, ხოლო, თუ იმას შეძლება არა აქვს, ეს ხარჯი სახელმწიფომ უნდა იკისროს და გაიღოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით.

შენიშვნა: ხარჯი იმ პირის შემოწმებისა, რომელიც ექიმთა კომისიის მიერ შემოწმებისას ჯანსაღად იქნება ცნობილი, უნდა დაეკისროს იმას, ვინც შემოწმება ითხოვა.

14. ექიმთა კომისიის დადგენილება, რომლითაც ესა თუ ის პირი სულით ავადმყოფად ცნობილ იქნა, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს დადგენილების დღიდან ერთი თვის განმავლობაში იმ ადგილის სახალხო სასამართლოში, სადაც სულით ავადმყოფად ცნობილი ცხოვრობს. სასამართლოზეა დამოკიდებული ასეთი საჩივარი უშედეგოდ დასტოვოს ან განკარგულება გასცეს, განყოფილების მეშვეობით, რომ ექიმთა კომისიამ ახალი შედგენილობით და ადგილობრივი სახალხო მოსამართლის თანადასწრებით ეს პირი ხელმეორედ შეამოწმოს.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბროდსკი.**

1923 წ. ივლისის 12.

თბილისი.

—

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ს. ხ. ხ. რ. განათლების სახალხო კომისარის შრომის სკოლის მასწავლებელთა გადამზადების შესახებ.

იმ მიზნით, რომ პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის მხრივ აღმატებულ იქნენ სოციალური აღზრდის მუშაკნი და მომზადებულნი მასწავლებელნი, რომელნიც შესძლებენ ახალი სკოლის შექმნას, ცხოვრების მოთხოვნილებასა და პედაგოგიური აზრის უახლეს მიმდინარეობასთან შეთანხმებულს, საქართველოს ს. ს. რ განათლების სიხალხო კომისარმა დაადგინა:

1. მოეწყოს საქართველოს რესპუბლიკის 17 ადგილას მოკლე ვადიანი საზაფხულო კურსები, შრომის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად.

2. კურსები უნდა გაიხსნას ორი ტიპისა:

ა) დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლებისათვის—ორ-თვე-ნახევრიანი კურსები 9 ადგილას და

ბ) უფრო მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელთათვის —თვე-ნახევრიანი კურსები, 8 ადგილას.

3. გადამსაზადებელი კურსები მოწყობილ იქნას ქართული ენაზე, გარდა ამისა ორ ადგილას მოეწყოს კურსები რუსულ ენაზე, ორ ადგილას—სომხურზე და ერთ ადგილას—თურქულზე—რესპუბლიკის მუსულმანური სკოლების მაჰმადიან მასწავლებელთათვის.

4. თვითეულ ადგილას უნდა იყოს ასი მსმენელი.

5. კურსების მოწყობა დაევალოს სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობას.

6. ყველგან კურსები გახსნილ უნდა იქნას არა უგვიანეს ამა წლის ივლისის 15-ს.

განათლების სახალხო კომისარი

დ. კანდელაკი.

სოციალური აღზრდის მთავარმმართვ.

გამგე **მ. ორახელაშვილი.**

1923 წ. ივლისის 4.

—

ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 19

თბილისის აღმასკომის კომიტეტისა

19 ივლისი. 1923 წ.

ლოთობის და საჯარო ადგილებზე უწესოობის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ.

ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ქალაქში წესიერების დასაცავად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საჯარო ადგილებზე, კლუბებში, კაფე-რესტორანებში და სხ. ეკრძალება ყოველ მოქალაქეს:

ა) მთვრალი გამოჩენა და

ბ) ყვირილი, სმენა, უწმაწური სიტყვების ხმარება.

2. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან:

ა) ჯარიმის გადახდევინებით 25—100 მანეთამდის (ჩერვოვცებით).

ბ) ან იძულებით სამუშაოს მისჯით არა უმეტეს ერთი თვის ვადისა, და

გ) ან არა უმეტეს ერთი თვით დაპატიმრებით.

3. მილიციას ევალება ამ დადგენილების ცხოვრებაში სწორ-უცვლელად გატარება.

თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწავლობენ მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე **ი. პალატნიკოვი.**

0—11

ᲧᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲚᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲒᲭᲝ

ამით აცხადებს,

რომ 1923 წლის 1-ლ აგვისტოს დღის 12 საათისათვის დანიშნული ჭიათურაში შაყი ქვის მრეწველთა მე-25 მორიგი კრება გადადებულია 25 აგვისტოსათვის.

განსახილველი საკითხები რჩება იგივე.

(538 1—1)

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

იუწყება, რომ 28 ივლისიდან **ᲨᲐᲒᲐᲗᲝᲒᲘᲗ** და **ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ** წინ თბილისიდან და 29 ივლისიდან **ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲒᲘᲗ** და **ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ** ხაშურიდან მოაგარაკე—მგზავრთა უფრო სასურველ პირობებში სამგზავრო ინიშნება ტფილის – ხაშურს შორის დამატებით ერთი წყვილი სამგზავრო მატარებელი №№ 81 და 82 შემდეგი ცხრილის თანახმად:

მატ. № 82 გავა ტფილისიდან დღის 4 ს. და 37 წ. ჩავა ხაშურში — საღამოს 10 საათზე. } შაბათობით უქმეების წინ.

მატ. № 81 გამოვა ხაშურიდან საღ. 6 საათზე და 15 წ. ჩამოვა ტფილისში საღ. 11 საათზე და 20 წ. } კვირაობით და უქმე დღეებში

შენიშვნა: შაბათობით და უქმეების წინ, გორამდე მიმავალ მგზავრებზე მატარებელ № 20-ზე, რომელიც გადის ტფილისიდან დღის 3 ს. და 20 წ. ბილეთები არ გაიყიდება და ასეთი მგზავრები ამ დღეებში გადაყვანილი იქნებიან ტფილისს—გორს შუა-მდებარე სადგურებზე ადგილობრივი მატარებლებით, რომელნიც გადიან ტფილისიდან. მატ. № 16—დღის 1 საათ. 55 წ. და მატ. № 82, დღის 4 საათ. 37 წ. მატარებლების №№ 81 და 82-ის მიმოსვლა შეთანხმებულია სურაბში მიმავალ მატარებელთან.

კრ. 541 2—1

ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ ხმარებაში შემოვიდა ამიერ-კავკასიის ᲧᲐᲚᲒᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ 1 მილიონი მან. ღირებულების

ᲡᲔᲠᲘᲐ A 02005

ᲓᲐ

ᲡᲔᲠᲘᲐ A 10004

ფონით, რომელიც ჰგავს მილიონიან ნამდვილ ფულის კუპიურებს.

(მუჭი იის ფერის).

ყალბი ფულის ნიშნები დაბეჭდილია უბრალო ქაღალდზე და არ აქვთ წყლის ნიშანი, რის გამო მათი გამოცნობა ნამდვილისაგან ადვილია, გარდა ამისა ვინიეტკა, ცხრილი და ხელისმოწერა ძალიან უხეშადაა გადმოღებული.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. სოც. რუსპუბ. ფინანსთა სახ. კომისარი

ს. იზმაილოვი.

საგალიუტო სამმართველოს უფროსი **ა. საფარიანი.**

537—2—2

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს

ᲡᲐᲭᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ

ა. წ. 31 ივლისს დღის 12 საათზედ, მესამე ქალაქის საავადმყოფოსთან ორ სართულიან საადმინისტრაციო შენობის ასაშენებლათ. ვისაც სურს მონაწილეობის მიღება აღნიშნულ ვაჭრობაში, წინადადება ეძლევათ წარმოადგინონ თავიანთი განცხადებები არა უგვიანეს დღის 12 საათისა 31 ივლისს. დაბეჭდილ კონვერტებში თვითეულ სამუშაო ფასების და საერთო ფასის ცალკე აღნიშვნით.

გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას შეუძლიან გაეცნონ ქალ. აღმასკომის შენობაში (ოთახი № 46).

540 2—1

28 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲣᲣᲐᲓᲦᲘᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲘᲗᲖᲔ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ოთახი № 10

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ

ᲡᲐᲭᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ქალაქის პირველი საავადმყოფოს (ყოფ. არამიანცის) 1-ლ **ᲑᲐᲠᲐᲙᲘᲡ**

Ა ᲓᲐ Ბ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ

ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე, დილის 8—10 საათამდე ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებაში, ოთახი № 17.

(536 3—2)

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲮᲘᲜᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ

Ს.ᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

საწოლებით ᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲩᲘᲚᲕᲐᲓᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲣᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ᲔᲞ. ᲡᲘᲛᲝᲜ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲘᲡ** ხელმძღვანელობით ტფილისი, ყორდანოვის ქ. № 20.

(501—25—5)

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ეკონომიურ დარგის მეოთხე სემესტრის სტუდენტის ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(კვ. 1005—1—1)

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ პირადობის მოწმობა, გაცემული ტფილისის მილიციის მიერ ამა წლის იანვარში. ლევან არტემის ძე მელიქ-ნაზარაოვის სახელზე. 6 თვის ვადით № 106. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(კვ. 1006—1—1)

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ პირადობის მოწმობა თემის აღმასკომის მიერ გაცემული ტფილისის სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი კავშირის სა